პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 ოქტომბერი შაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 243 (14847)

# ვაჭრობის მუშაკი

ПРАВДА

16 ოქტომბრის მოწინავე

ჟანრიამ თევდორეს ასულმა უგაროვამ თავისი შრომითი საქმიანობა გამყიდველის მოწაფედ დაიწყო. ახლა იგი პენზის უდიდესი მაღაზიის სექციის გამგეა. ეს ჩინებული მუშაკი: მუდამ თავაზიანად შეხვდება მომხმარებელს, უჩვენებს საქონელს, გააცნობს მის თვისებებს, მზრუნველობით დაეხმარება იმის არჩევაში, რაც მეიდველს მოსწონს. მარიამ თევდორეს ასული თავდადებული შრომისათვის ლენინის ორდენით არის დაჯილდოებული.

ახეთი ინიციატიფიანი, კეთილსინდისიერი და თავისი საქმის კარგად მცოდნე მშრომელები სულ უფრო მრავლდება ჩვენი ვაჭრობის სისტემაში. შვიდნასუფარ მილიონ კაცს შორის, რომლებიც სახალხო მეურნეობის ამ მსხვილ დარგში არიან დასაქმებული, თითქმის ხუთასი ათასი კომუნისტია. ისინი ტონს იძლევიან ყველაფერში: პირველნი ეუფლებიან მუშაობის პროგრესულ ფორმებს, ბეჯითად სრულყოფენ მოსახლეობის მომსახურების კულტურას, უჩვენებენ პირად მაგალითს სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში დიდი ყურადღება მჭონდა დათმობილი ვაჭრობის შემდგომ განვითარებას, რომლის მდგომარეობაზეც დამოკიდებულია მშრომელთა ცხოვრების მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლება. ეს გადაწყვეტილებანი თანმიმდევრულად სრულდება. მიღწეულია საცალო საქონლბრუნვის ზრდის ტემპების მნიშვნელოვანი დაჩქარება. 1961-1964 წლებში სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში იგი გადიდდა 21,5 პროცენტით, ახლანდელი ხუთწლედის ოთხ წელიწადში კი — 38,4 პროცენტით. ამ წლების განმავლობაში გაყიდულია მნიშვნელოვნად მეტი საქონელი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

ვაჭრობის მუშაკების შრომა ღირსეულად ფასდება ჩვენს ქვეყანაში. ბევრი მათგანი, მარიამ თევდორეს ასულ უგაროვას მსგავსად, დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, მიენიჭა „ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის“ სპატარი წოდება. ყოველდღიურად ზრუნავენ რა ამ დარგის მშრომელებისათვის, პარტია და სახელმწიფო ამასთან დიდ მოთხოვნებსაც უყენებენ მათ. ამ მოთხოვნებიდან მთავარია — მაქსიმალურად აკმაყოფილებდნენ მომხმარებლის მოთხოვნილებებს. მოშმხარებელი კი დღეს მომთხოვნია. საქონლის ხიუზვეტთან ერთად საბჭოთა ადამიანებს უნდათ მაღაზიებში იყოს მომსახურების მაღალი კულტურა, საქონლის ყიდვაზე დახარჯონ რაც შეიძლება ნაკლები დრო. ამ საქმეში კი ბევრი რამ არის დამოკიდებული კადრებზე.

დადგენილებაში „ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის სკკპ ვლადიმირის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს ამოცანად დაუსახა ძირეულად გაუმჯობესონ ეს მუშაობა. ამ ბოლო ხანს რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში მოეწყო ვაჭრობის სპეციალისტთა მომზადება და გადამზადება, გამსხვილდა სავაჭრო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები, დარგში გაიგზავნა ათასობით კომუნისტი და კომკავშირელი. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად გაუმჯობესდა კადრების თვისებრივი შემადგენლობა, და ამან დადებითი გავლენა მოახდინა საწარმოო საქმიანობის შედეგებზე: უფრო სწრაფად ვითარდება ვაჭრობის პროგრესული მეთოდები, ამაღლდა მოსახლეობის მომსახურების კულტურა. მაგრამ, ჯერ კიდევ ბევრი რამ გასაკეთებელია.

პრაქტიკა მოწმობს, რომ თანამედროვე პირობებში იზრდება თვითმომსახურების მაღაზიების როლი და მნიშვნელობა. აი რატომ ხდება უპირველესი რიგის საქმედ ახლა მასობრივად მოვამზადოთ გამყიდველები, მოლარე-კონტროლიორები, დამფასოებლები და შემფუთველები, ასეთი სავაჭრო საწარმოებისათვის. ამასთან საჭიროა ყველ გამოვიყენოთ მთელ რიგ ქალაქებსა და ოლქებში შეძენილი გამოცდილება. მაგალითად, ლენინგრადელები წარმატებით ამზადებენ თვითმომსახურების მაღაზიებისათვის კონსულტანტ-გამყიდველებს, ფართო პროფილის კვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებმაც კარგად იციან საქონელი, იცნობენ ესთეტიკასა და ფსიქოლოგიას. გამყიდველები აქ სწავლობენ საღამოს უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში, პროფესიულ-ტექნიკურ სკოლებში, ფუძნდებოდა სემინარებზე. ამ მრავალფეროვან მუშაობას ხელმძღვანელობს საქალაქო მეთოდური საბჭო. დონეცკში ნაყოფიერად მოქმედებს ვაჭრობის ეკონომიკის სახალხო უნივერსიტეტი. თვისი დანიშნულება გაამართლა მთელ რიგ ქალაქებში შემოღებულმა მომავალ გამყიდველთა სასწავლო პრაქტიკამ საწარმოებში, რომლებიც იმ საქონელს უშვებენ, რომელთანაც მათ საქმე ექნებათ. ამრიგად, კადრების მომზადების ფორმები მრავალფეროვანია. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა უნდა წაახალისონ შემოქმედებითი ძიება ამ საქმეში, ყოველმხრივ გაითვალისწინონ ადგილობრივი შესაძლებლობანი და მოთხოვნილებანი.

მაღაზიის კარგი გამყიდველი ბაზისა და კლიენტის გულგრილი შუამავალი როდია. დიდი ყურადღებით ეკიდება რა მყიდველს და კარგად ყიდის საქონელს, ამასთან მან არ უნდა გაყიდოს არასრულფასოვანი ნაწარმი. სწორედ ასე იქცევიან მოსკოვის ცენტრალურ უნივერმაღში, სადაც წარმატებით მოქმედებენ საზოგადოებრივი წუნმდებელები. სამწუხაროდ, ამგვარი ინსტიტუტები ჯერჯერობით ცოტაა. ჯერ კიდევ იშვიათი როდია ფაქტები, როცა მყიდველი იღებს დაბალი ხარისხის საქონელს. ვაჭრობის, სპეციალური ინსპექციების თვითეული მუშაკის, სავაჭრო საწარმოების მთელი საზოგადოებრიობის მოვალეობა ის რის, რომ ულმობელი ბრძოლა გამოუცხადონ მაღაზიებში დაწუნებული ნაწარმის შეღწევას.

რთულია მოვალეობანი, ძნელია სამუშაო დღე იმ ადამიანებისა, რომლებიც მაღაზიებში მომსახურებას გვიწევენ. მათი შრომა კი დღემდე სუსტად არის მექანიზებული. სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც სავაჭრო მანქანათმშენებლობის საქმეს წყვეტენ, მოვალენი არიან დაიჩქარონ დატვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის საშუალებების, სამაცივრო მოწყობილობის, უახლესი სახეწორების, სალაროს აპარატების, აგრეთვე ვაჭრობისათვის საჭირო სხვა მექანიზმების კონსტრუირება და გამოშვება.

„პრავდაში“ მოსული მკითხველთა წერილები და სახალხო კონტროლის მიერ მოწყობილი შემოწმების შედეგები ცხადყოფენ, რომ ზოგიერთ მაღაზიაში უხეშად ეკიდებიან მყიდველებს, არის ზომაწონაში მოტყუების ფაქტები. გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ ეს ბოროტება, ვაჭრობის წესების დამრღვევთა გარშემო შეიქმნათ საზოგადოებრივი შეურიგებლობის ატმოსფერო. პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა სავაჭრო საწარმოების ადმინისტრაციასთან ერთად უნდა გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობა თავიანთ კოლექტივებში, უფრო ეფექტიანად გამოიყენონ მორალური და მატერიალური სტიმულები მომსახურების კულტურის ამაღლებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ვაჭრობის მუშაკთა კადრების იდეური და პროფესიული ზრდისათვის, მათი შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა პარტიული კომიტეტების, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დიდმნიშვნელოვანი მოვალეობაა.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ვაჭრობის მუშაკები ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ სკკპ XXIV ყრილობას. მათ იკისრეს დიდი სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებითაც გათვალისწინებულია საქონლბრუნვის შემდგომი ზრდა, სამეურნეო საქმიანობის ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლება, მოსახლეობის მომსახურების კულტურის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესება. დაე სავაჭრო საწარმოების თვითეული მშრომელი, თვითეული კოლექტივი არ იშურებდეს ძალღონეს ამ ვალდებულებათა შესრულებისათვის!

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

## ციტრუსეგის კრეფის, დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის შესახებ

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ იძის შედეგად, რომ პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა განახორციელეს ციტრუსოვანთა ნარგავების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი ფართობის გადიდების ღონისძიებანი, მიღწეულია გარკვეული წარმატებანი ციტრუსების წარმოების ზრდაში.

ციტრუსოვანთა წლევანდელი მოსალოდნელი უხვი მოსავალი მოითხოვს კრეფის, დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის უკეთეს ორგანიზაციას, ნაყოფის ზეგიგმითი დამზადებისათვის საჭიროა დიდძალი ტარა. მაგრამ, განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტი „საქკონსერვხილბოსტანი“ და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჯერჯერობით მთლიანად არ არიან უზრუნველყოფილი ტარით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება, რომელიც მიზნად ისახავს ციტრუსების წარმატებით კრეფას, დამზადებას, დამუშავებასა და რეალიზაციას.

დადგენილება ავალებს საქართველოს კომპარტიის აჭარისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტებს, პარტიის რაიკომებსა და იმ რაიონების რაისაბჭოს აღმასკომებს, რომლებიც ციტრუსებს აწარმოებენ, უზრუნველყონ ნაყოფის ორგანიზებულად, უდანაკარგოდ და შემჭიდროებულ ვადებში მოკრეფა და დამზადება, ყოველნაირად დაეხმაროს დამამზადებელ ორგანიზაციებსა და საბჭოთა მეურნეობებს სპეციალისტებითა და მუშებით პავილიონებისა და დამამზადებელი პუნქტების დაკომპლექტებაში.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ უნდა უზრუნველყოს ციტრუსების ტარა-შესაფუთი მასალით დამამზადებელი ორგანიზაციების შეუფერხებელი მომარაგება, და მათი მიწოდება დაამთავრონ არა უგვიანეს 15 ნოემბრისა. ციკავშირის გამგეობას დაევალა საჭირო ტარა მიაწოდოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტანს“ იმ ციტრუსებისათვის, რომლებიც ციკავშირის ხაზით საღდება.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს დაევალა დამამზადებელთა განცხადებით მოაწყოს ვაგონების შეუფერხებელი მიწოდება ხილის გადასაზიდად. საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ და „საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკურმა გაერთიანებამ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და დამამზადებელი პუნქტები უნდა უზრუნველყონ ტრანსპორტით ციტრუსოვანთა გადასაზიდად.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სახელმწიფო კომიტეტს „საქკონსერვხილბოსტანის“ უფლება მიეცათ, რესპუბლიკის მინიტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით გაგზავნონ ციტრუსები, რომლებიც გეგმის გადაჭარბებით დამზადდება.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველომ, სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის საქართველოს შავი ზღვის სანაოსნომ, რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ. სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა განკარგულებაშია სატრანსპორტო საშუალებანი, არ უნდა დაუშვან ციტრუსების რაიმე გადაზიდვა, თუ არ წარუდგენენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტნის“ განწესებას.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მის ადგილობრივ ორგანოებს დაევალათ დაწესონ მკაცრი კონტროლი იმ ღონისძიებათა შესრულებისადმი, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დადგენილებით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 23 ოქტომბრის დადგენილებით.

(საქდესი).

## XXIV

## შენთვის, ჩემო ... ! დედასამშობლო!

## საბჭოთა მეურნეობების მევენახეთა ნოგათი

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მეურნეობათა მუშებმა და სპეციალისტებმა, რომლებმაც გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ყურძნის უხვი მოსავალი მიიღეს, ორგანიზებულად დაამთავრეს ყურძნის კრეფა და შეასრულეს სახელმწიფოსათვის მისი მიყიდვის წლიური გეგმა.

14 ოქტომბრისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 68.800 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 67.958 ტონისა.

ტრესტის საბჭოთა მეურნეობებმა 110 პროცენტით შეასრულეს ყურძნის დამზადების ხუთწლიანი გეგმა.

ყურძნის მოვლა-მოყვანაში, კრეფასა და დამზადებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გურჯაანის, ხირსის, პაპკისის, კისისხევის, წინანდლის, უჯარლის, ქინძმარაულის, საბუის, შრომის, მუკუზნის, მანავის, ალგეთის, უულარის, შაუმიანის, ბოლნისის, სამგორის, ნაფარეულის, ახმეტის საბჭოთა მეურნეობებისა და ტიბაანის სანერგე მეურნეობის კოლექტივებმა.

ყურძნის კრეფა გრძელდება. საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიეყიდონ 6 ათასი ტონა ყურძენი. (საქდესი).

სურათზე: რთველი მცხეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ზვრებში. ფოტო ი. დავითაშვილისა და ხ. თევზაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

### ხუთწლიანი დავალება ვადამდე

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს კომბინირებული საკვების მრეწველობის სამმართველოს საწარმოებმა ვადამდე — 1 ოქტომბერს დამთავრეს ხუთწლიანი დავალება. გეგმით გათვალისწინებული იყო დაემზადებინათ 1.475.000 ტონა კომბინირებული საკვები, ფაქტიურად კი დაამზადეს 1.495.371 ტონა. ამ პერიოდისათვის გათვალისწინებული იყო გამოეშვათ 285 ათასი ტონა კომბინირებული საკვები ფრინველისათვის, ფაქტიურად კი აწარმოეს 9.316 ტონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

ჩაებნენ რა პარტიის XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, კომბინირებული საკვების მრეწველობის სამმართველოს საწარმოთა კოლექტივებმა იკისრეს ვალდებულება ხუთწლიანი დავალების გადამეტებით დაამზადონ 130 ათასი ტონა კომბინირებული საკვები. (საქდესი).

## სამთვეანახევრით ადრე

მეორე სამპერვალო ბაერთიანების კოლექტივმა (დირექტორი შ. ლექვინაძე) ვადაზე სამთვეანახევრით ადრე ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლით გადაჭარბებით შეასრულა ხუთწლედის დავალება. მეერავებმა გეგმის ზევით გამოუშვეს 136 ათასი მანეთის საერთო და 384 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, ამასთან 470 ათასი მანეთით გადაამეტეს ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ რეალიზაციის მოცულობას.

გაერთიანების კოლექტივმა თვითდირებულების შემცირებით ასეულ ათასობით მანეთი დაზოგა და განსვლილ პერიოდში 4 მილიონ 452 ათასი მანეთი მოგება მიიღო, რაც 245 ათასი მანეთით აღემატება ხუთწლიან გეგმას. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ნაკეთობათა ხარისხი. მიმდინარე წლის ცხრა თვეში პირველი ხარისხის ტანსაცმლის გამოშვებამ გათვალისწინებული 97,8 პროცენტის ნაცვლად 98,5 პროცენტი შეადგინა.

ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის განსაკუთრებით ბეჯითად იმრომეს ქუთაისის № 8 სამკერვალო ფაბრიკის № 1 და № 2 საამკერეოების, ქ. ონის № 10 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივებმა, რომლებსაც ლ. პირველაშვილი, დ. თუთბერიძე და ხ. გოგიჯოშვილი უძღვებიან. (სპპ. კრრ.).

## რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს ჰოლონეთის გამოფენა

16 ოქტომბერს ჰოლონეთის ქიმიური და კვების მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიისა და საგზაო სამუშაოთა მანქანა-მოწყობილობის გამოფენას ეწვივნენ შ. ჰანუშაძე, მ. გოგიჩაიშვილი, ნ. ცხაკაია, შ. კიკნაძე, ო. ლოლაშვილი, მათთან ერთად იყვნენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ბუხრაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობის განყოფილების გამგე ი. ქედიშვილი, რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრი ბ. ჯაშაკიძე, საქართველოს სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე რ. ელიგულაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ. ლომიძე.

რესპუბლიკის ხელმძღვანელები გაეცნენ ექსპოზიციას. ახსნა-განმარტებას იძლეოდა ინჟინერი ივანე ზაზანოვიანი.

დაახლოებით სამი ათას კვადრატულ მეტრ-ფართობზე გადაჭიმული გამოფენა მოწმობს ჰოლონეთის მანქანათმშენებლობის დიდ ტექნიკურ პროგრესს. წარმოდგენილია ბევრი სიახლე — ნიჭიერ ჰოლონელ კონსტრუქტორთა, ინჟინერთა და მუშათა შემოქმედებითი შრომის ნაყოფი. მათ შორის არის ორი და სამი ტონის ტვირთამწეობის ჰიდრავლიკური მტვირთავები, ათასი კილოგრამი ტვირთამწეობის სამგზავრო-სატვირთო ლიფტი, სამშენებლო სამუშაოთა მცირე მექანიზაციის სრულყოფილი მოწყობილობა.

ყურადღებას იპყრობს პლასტმასისგან ჩამოსასხმელი მანქანა. მცირე გაბარიტის მანქანა გამოირჩევა დიდი მწარმოებლობით. წარმოდგენილია ორიგინალური სადრაჟე დოღი, რომელიც ვიტამინ-დრაჟეს წარმოების მექანიზაციის საშუალებას იძლევა. ყველა მანქანა დაათვალიერეს მუშაობის პროცესში.

თბილისის გამოფენაზე „პოლიმექსის“ საგარეო-სავაჭრო გაერთიანება უჩვენებს თავის დიდ შესაძლებლობებს, რომლებიც აქვს ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგებისათვის მანქანების მიწოდებაში. ამ გაერთიანების უდიდესი სავაჭრო პარტნიორია საბჭოთა კავშირი. „პოლიმექსი“ ჩვენს ქვეყანაში გზაგნის ჰოლონეთის მანქანათმშენებელი საწარმოების მთელი პროდუქციის 50 პროცენტს. მათ მარკას ნახავთ, კერძოდ, მოწყობილობაზე, რომლითაც აღჭურვილია თბილისის საფუარის ქარხანა. (საქდესი).

### მეგობრული უეხვედრეგი

16 ოქტომბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ შ. დ. კაკნაძემ მიიღო პოლონეთის საგარეო-სავაჭრო გაერთიანების „პოლიმექსის“ გენერალური დირექტორი ლეონარდ ლიახოვსკი. გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს სავაჭრო პალატის თავმჯდომარე რ. ს. ელიგულაშვილი.

იმავე დღეს ლ. ლიახოვსკი ეწვია თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს შ. ბუხრაშვილს.

(საქდესი).

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

**სსრ კავშირის** მინისტრთა საბჭოს მიერ სარატიფიკაციოდ წარდგენილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ფინეთის რესპუბლიკის ოქმი 1948 წლის 6 აპრილის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებით მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს მოსკოვში 1970 წლის 20 ივლისს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დასაკვნისათვის გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებს.

## ფ. ენგელსის დაბადების 150 წლისთავი

16 ოქტომბერს მოსკოვში მეგობრობის სახლში დამთავრდა ფ. ენგელსის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ეს შეხვედრა მოაწყვეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიკოსთა კომისიამ და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებამ. (საკდესი).

## მიფრინავს „მეტეორი“

1970 წლის 15 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მეტეოროლოგიური თანამგზავრი „მეტეორი“. თანამგზავრის გაშვების ძირითადი მიზანია უზრუნველყოს ამინდის ოპერატიული სამსახურისათვის საჭირო მეტეოროლოგიური ინფორმაციის მიღება. თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე.

## ვეცნობით იტალიას

სურათზე: აკადემიკოსი შ. ამირანაშვილი მეესალმება იტალიელ სტუმრებს.

ფოტო ვლ. ბინზბურგისა.

16 ოქტომბერს სსრ კავშირში იტალიური კულტურის კვირეულის მეორე დღეა. ეს ღირსშესანიშნავი მოვლენაა ქართველი ერის ცხოვრებაში. დიდად აფასებს და უყვარს ქართველ ხალხს იტალიური ხელოვნება, ლიტერატურა, მუსიკა.

კვირეული თბილისის მშრომელთა დიდ ინტერესს იწვევს. ისინი გულღიად ხვდებიან იტალიის წარმომადგენლებს. შეხვედრები მათთან მკაფიოდ გამოხატავს იტალიელი ხალხისადმი გულწრფელი მეგობრობის გრძნობებს.

საქართველოში ყოფნის მეორე დღეს „იტალია-სსრ კავშირის“ საზოგადოების დელეგაციამ, რომელშიც შედიან იტალიის მწერალთა სინდიკატის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი ლიტერატორი სენატორი ფრანკო ანტონიჩელი (დელეგაციის მეთაური), სენატის განათლებისა და სახვითი ხელოვნების კომისიის წევრი სენატორი რიკარდო რომანო, ქალაქ პალერმოს სახვითი ხელოვნების ეროვნული მუზეუმის დირექტორი ვინჩენცო ტუზი და სიცილიის ტურიზმის სამმართველოს ადმინისტრაციული საბჭოს წევრი ენცო სელერიო, „სსრ კავშირ-იტალიის“ საზოგადოების პასუხისმგებელი მდივნის ლ. მ. კაპალეტზის თანხლებით მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სირაძემ.

ვ. მ. სირაძე ქართველი ხალხის, რესპუბლიკის მთავრობის სახელით გულთბილად მიესალმა სტუმრებს. იტალიის დიდ ხელოვნებასთან ყოველი შეხვედრა, თქვა მან, ჩვენთვის ღღესასწაულია.

მოხარული ვართ აღვნიშნოთ, რომ საქართველოსა და იტალიის მეგობრული ურთიერთობა ყოველწლიურად ფართოვდება. დელეგაციათა გაცვლა, კულტურული თანამშრომლობა ხელს უწყობს ჩვენს ხალხებს უკეთ გაიცნონ ერთმანეთი, განამტკიცონ მეგობრობა და ურთიერთგაგება.

სენატორმა ფრანკო ანტონიჩელიმ დელეგაციის წევრთა სახელით მადლობა გადაუხადა გულთბილი და გულითადი მასპინძლობისათვის, რომელსაც საქართველოში უშვენენ.

— თქვენს მშვენიერ რესპუბლიკაში ყოფნის პირველსავე დღეს ვიგრძენით, რომ ქართველ ხალხს გულწრფელად უყვარს იტალია, მეგობრული გრძნობებით არის გამსჭვალული ჩვენი ხალხისადმი.

სტუმრები დაინტერესა საქართველოს სსრ სახელმწიფო წესწყობილების საკითხებმა, მისმა საერთაშორისო, ეკონომიურმა და კულტურულმა ურთიერთობამ, სახალხო განათლების სისტემამ. ყველა კითხვაზე მათ ამომწურავი პასუხი მიიღეს.

დარბაზობას დაესწრნენ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. მელაძე, რესპუბლიკური გაზეთის „ზარია ვოსტოკის“ რედაქტორი შ. ყარყარაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული დეპეშათა საგაგეთოს დირექტორი ვ. ჟიაშერელი, „სსრ კავშირ-იტალიის საზოგადოების“ საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე ვ. მაპპავარიანი, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორი ო. ეზაძე, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ბ. ტატიშვილი, საქართველოს მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიური კვლევის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ბ. ჩიშკარიანი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კინოფიკაციის სამმართველოს უფროსი რ. სისარდია, „სსრ კავშირ-იტალიის“ საზოგადოების საქართველოს განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ი. ცაბარიშვილი.

იმავე დღეს იტალიელი სტუმრები ეწვივნენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს შ. ბუხრაშვილს.

შ. ბუხრაშვილი ესაუბრა მათ თბილისის სამრეწველო საწარმოებზე, კულტურულ და ხელოვნების დაწესებულებებზე, გააცნო ქალაქის განვითარების გენერალური გეგმა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისსა და პალერმოს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებთ, საქართველოს სანავსადგურო ქალაქი ბათუმი კი იტალიის ბარის ნავსადგურს დაუქმობილდა.

— დავრწმუნდი, თქვა სენატორმა ანტონიჩელიმ, რომ ქართველმა ერმა დიდ წარმატებებს მიაღწია. ეს აქტიურობა დამახასიათებელია ხალხისათვის, რომელიც ახალ სამყაროს აშენებს.

საუბარში მონაწილეობდნენ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ბ. ბერეაძე და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი ვ. ჩალაძე.

საპატიო სტუმართა წიგნში სენატორმა ანტონიჩელიმ ჩაწერა: „დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მინდა ეუსურვო თქვენს შესანიშნავ ხალხს ბედნიერება, ახალი წარმატებანი და დიადი მომავალი“.

გულთბილი მეგობრული საუბარი გაიმართა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში. ამ საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. მელაძე სტუმრებს ესაუბრა კონტაქტებზე, რომლებიც საზოგადოებამ დაამყარა საზღვარგარეთის ქვეყნებთან.

— თქვენი ჩამოსვლა ჩვენს რესპუბლიკაში, — თქვა მან, მიგვაჩნია იმ შეხვედრების გაგრძელებად, რომლებიც გასულ ზამთარში დაიწყო თბილისსა და პალერმოში. მომდევნო ექვსი დღის განმავლობაში თქვენ იგრძნობთ იმ სიყვარულს, სიმპათიასა და ინტერესს, რომლებითაც გამსჭვალულია ქართველი ხალხი იტალიელი ხალხისადმი.

(დასასრული მე-3 გვ.).

# პარტიული კრება

### ჩვენი გამოცდილებიდან

ეს რკინიგზის საამქროში მოხდა. პარტიული ორგანიზაციის კრება მშრომელთა კულტსაყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხს განიხილავდა. სტატუა კომუნისტმა ქ. უანდიაშვილმა ითხოვა:

— ჩემი აზრით, — თქვა მან, — ურიგო არ იქნება, თუ ქარხნის მასშტაბით შაბათობათა ორწლიურს მოვაწყობთ და თანხას, რომელსაც ამ შაბათობებზე გამოვიმუშავებთ, მთლიანად იაღლუჯის მთაზე კულტურისა და დასვენების პარკის გასაშენებლად გამოვიყენებთ.

კომუნისტის წინადადებას მოწონებით შეხვდა ქარხნის მთელი კოლექტივი. პარტიულმა კომიტეტმა ეს საკითხი სპეციალური მსჯელობის საგნად გახადა. შეიმუშავეთ კონკრეტული ღონისძიებანი და პრაქტიკულად შევუდექით საქმეს. უკვე დღეისათვის ჩატარებული გვაქვს 100-მდე შაბათობა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 20 ათასამდე კაცმა. გამომუშავებულმა თანხამ 150 ათასი მანეთი შეადგინა. ეს მთლიანად გადავრიცხეთ დანიშნულებისამებრ იაღლუჯის მთაზე გამაჯანსაღებელი კომპლექსის ასაშენებლად.

ასეთი ფაქტები კი ჩვენს პრაქტიკაში ცოტა როდია, როცა საამქროთა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიული ჯგუფების კრებებზე კომუნისტები პრინციპულად მსჯელობენ წარმოებისა თუ ყოფაცხოვრების საპრობლემო საკითხებზე, მხარს უჭერენ სასარგებლო ინიციატივას, იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს და შემდგომ ზრუნავენ მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის.

პარტიულ კრებაზე რომ სწორად დაისვას საკითხი, აგრეთვე მიღებული იქნას სწორი, კონკრეტული და მეტად საქმიანი გადაწყვეტილება, საჭიროა შეუნელებელი ყურადღება მიექცეს პარტიული კრების მომზადებასა და ჩატარებას, მიღებულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებას.

ახლა მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები კრებების მომზადებისა და ჩატარებისას ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „სკკპ იაროსლავლის პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული კრებების ჩატარების შესახებ“.

პარტიულმა კომიტეტმა წელს მოისმინა საკითხი, თუ როგორ მზადდება და ეწყობა პარტიული კრებები თბოელექტროცენტრალის, აგრეთვე წვრილბარისხოვან და საგლინავ საამქროთა პარტიულ ორგანიზაციებში. მეორე სხდომა შეიუღლეთნო მილსაგლინავი, სარემონტო და მექანიკური საამქროების პარტიულ ორგანიზაციებში კრებებზე კომუნისტთა აქტივობას.

განსაკუთრებით მაღალ დონეზე იმართება პარტიული კრებები მარტენის, საგლინავ, მილსაგლინავ და სხვა საამქროთა პარტიულ ორგანიზაციებში. აქ, როგორც წესი, პარტიულ კრებებზე სისტემატურად ისმენენ ინფორმაციებს იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება პარტიული ბიუროს, ან პარტიული კრებების გადაწყვეტილებები. ამ მხრივ საგულისხმოა საგლინავი საამქროს პარტბიუროს (მდივანი ვ. კერვალიძე) მაგალითი. მდივანი ყოველ პარტიულ კრებაზე აცნობს კომუნისტებს, თუ როგორ სრულდება წინა პარტიულ კრებაზე მიღებული დადგენილებები, რა საკითხები განხილა პარტბიუროომ კრებიდან კრებამდე, რა გადაწყვეტილებები მიიღო ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა და საქალაქო კომიტეტის ბიუროომ უახლოეს ხანში, რაში მდგომარეობს საამქროს კომუნისტების სადღეისო ამოცანები.

კარგი ტრადიცია დამკვიდრდა ამ ბოლო ხანებში საამქროთა პირველად პარტიულ ორგანიზაციებში. ვიდრე ამა თუ იმ საკითხს პარტიულ კრებაზე გაიტანდნენ, მანამდე მის შესახებ ფართოდ მსჯელობენ პარტჯგუფებში. მაგალითად, ამას წინათ საგლინავი საამქროს კომუნისტები ინახულეს ბენინშნი, რომ საფრთხის წინაშეა სახელმწიფო გეგმის შესრულება. ეს საკითხი ცალკეული უბნების მიხედვით პარტჯგუფების კრებებზე განიხილეს და გამოავლინეს მოსალოდნელი ზავრდნის მიზეზები. კერძოდ, სამართლიანი კრიტიკული შენიშვნები იქნა გაკეთებული მემარტენეების მიმართ, ალინიშნა დგან „900“-სა და დგან „1000“-ის ცუდი მუშაობა.

ყოველივე ამის შემდეგ მოსალოდნელი ჩავარდნის შესახებ საკითხი განხილულ იქნა საამქროს პარტიული ორგანიზაციის კრებაზე, რომელმაც დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ჩამორჩენათა დასაძლევად. საქმისადმი ასეთმა მიდგომამ საამქროს კოლექტივი იხსნა საფრთხისაგან, ჩამორჩენა თავიდან იქნა აცილებული.

ჩვენს ქარხანაში პარტიული კრებები მეტად დიდ როლს ასრულებენ სახელმწიფო, შრომითი და პარტიული დისციპლინის განსამტკიცებლად. წელს 36 პარტიულ ორგანიზაციაში განხილულ იქნა საკითხი დისციპლინის განმტკიცების შესახებ. თითქმის ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ იმსჯელა თავიანთ კრებებზე ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი წარმოების რეზერვების გამოვლინებისა და ეკონომიის რეჟიმის გაძლიერების შესახებ.

თუ რა მაღალი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ამ დოკუმენტის განხილვას, მოვიყვან მაგალითს, კოჯესქმიური საამქროდან. აქ წელს პარტიულ კრებაზე სამჯერ განიხილეს რეზერვების ამოქმედებისა და ეკონომიის რეჟიმის განმტკიცების საკითხი. სამივეჯერ მიიღეს საქმიანი ღონისძიებები, რომელთა განხორციელებისათვის დაირაზმა ყველა კომუნისტი, მთელი კოლექტივი. რა ეკონომიური ეფექტი მოჰყვა კომუნისტების ლაშქრობას? საამქროს კოლექტივმა გეგმის გადამეტებით აწარმოვა ათასობით ტონა კოქსი, დაზოგა 42 ათასი ტონა საკოქსე ნახშირი, ქარხანამ მიიღო 150 ათასი მანეთი მოგება.

ავიღოთ კიდევ ასეთი მაგალითი. მომდინარე წლის დასაწყისში სარემონტო-მექანიკური საამქროს პარტიული ორგანიზაციის კრებამ იმსჯელა ახალგაზრდა კადრებთან მუშაობის მიმდინარეობაზე და მიზანშეწონილად ცნო, რომ ახალგაზრდები პერსონალურად მიემაგრებინა კადრის ძველ, გამოცდილ მუშებზე. და როცა ამ საკითხზე მსჯელობდნენ, კომუნისტებმა აზრი გამოთქვეს, რომ კადრის ძველი, გამოცდილი მუშები მარტო სამუშაო ადგილზე კი არ უნდა უჩვენებდნენ ახალგაზრდებს კარგ მაგალითებს, არამედ საწარმოს გარეთაც, საზოგადოებაშიც უნდა გაუწიონ კონტროლი მათს ყოფაქცევას. ამ ღონისძიებამაც კარგი შედეგი გამოიღო.

როცა ანალიზს ვუკეთებთ საამქროთა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობას კრებების მომზადებისა და ჩატარების საქმეში, იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ პარტიული მუშაობის ამ მეტად მნიშვნელოვან უბანს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ყველგან არ ექცევა სათანადო ყურადღება. მაგალითად, საბრძმედ, თბოელექტროცენტრალის და საფანტონო-სარჩამსხმელო საამქროების პარტიული ორგანიზაციები იშვიათად თუ განიხილავენ საკითხებს პარტიული დისციპლინისა და კომუნისტთა აქტივობის შესახებ კრებების მომზადებასა და ჩატარებაში. ამიტომ არის, რომ ზოგიერთი კომუნისტი კვლავ პასიურობს, არ იჩენს სათანადო ინიციატივასა და თვითმოქმედებას.

ამჟამად პირველად პარტიულ ორგანიზაციებში მომდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კრებები. კომუნისტები ანალიზს უკეთებენ გაწეულ მუშაობას და გაბედულად ამხილებენ არსებულ ნაკლოვანებებს. საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს გაცხარებული სჯა-ბაასი პარტიული კრებების მომზადებასა და ჩატარებაზე, მასში თვითეული კომუნისტის აქტიურ მონაწილეობაზე.

ქარხნის პარტიული კომიტეტი მომავალშიც გადამჭრელ ზომებს განახორციელებს იმისათვის, რომ პარტიული კრებები ნამდვილად წარმოადგენდნენ კომუნისტების აღზრდის ჭეშმარიტ სკოლას, საწარმოთა კოლექტივების წინასწარის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან პირობას.

**კ. ბაძრაძე.**

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

### ზემო ალაზნის არხის მშენებლობაზე

# ახალი სიცოცხლე

**● ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობის დაწყებიდან მიმდინარე წლის მეორე ნახევრამდე ათვისებულია 25,6 მილიონი მანეთი ● სარწყავი სისტემის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ მოარწყავს 41 ათას ჰექტარ მიწას, აქედან ხელოვნური დაჟვიმებით მოირწყვება 10 ათასი ჰექტარი ● მაგისტრალური არხის სიგრძე იქნება 78 კილომეტრი.**

ალაზნის ველის სიუხვე და სილამაზე საკვეყნოდ ცნობილია, ბნახველზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ ზოგჯერ ბუნება ამ განუმეორებლად ლამაზ მიდამოს უმოწყალოდ ექცევა. გვალვა გლეხკაცის ნაამაგარს მთლიანად სწვავს და ხრუკავს, ელფერს უკარგავს სიუხვის ველს. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს გვალვის საწინააღმდეგო ღონისძიებანი. დამუშავდა ზემოალაზნის არხის მშენებლობის პროექტები. სუთი წლის წინათ მშენებლები შეუდგნენ არხის მშენებლობის განხორციელებას. პირველად თელავის რაიონს ეწვივნენ და ქალაქის ბოლოს, რიყეზე, რომელსაც ხალხი აჩინებულს უწოდებს, საფუძველი ჩაუყარეს რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციების ქარხნის მშენებლობას, რომელიც ამასწინათ ჩადგა მწყობრში.

ამ საწარმოს გვერდით შენდება საწარმოო-ტექნიკური ბაზა, რომელიც წლიურად უნდა შეასრულოს 2,5 მილიონი მანეთის მექანიზმების სარემონტო სამუშაოები. გათვალისწინებულია მომდინარე წლის ბოლოს საწარმო ნაწილობრივ გადასცენ საექსპლოატაციოდ, რომელიც 1,5 მილიონი მანეთის სარემონტო სამუშაოებს შეასრულებს. ცხადია, ამ ობიექტის ამუშავება დიდად შეუწყობს ხელს მექანიზმების დროულ შეკეთებას, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო დააჩქარებს არხის მშენებლობას.

ამჟამად არხის მშენებლობის ფრონტი 58 კილომეტრზეა გადაჭიმული. სამუშაოებს აწარმოებს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტი „ალაზანშენი“ (მმართველი მ. ცისკარიშვილი, მთავარი ინჟინერი შ. დობორჯგინიძე).

მშენებლებმა ფართოდ გააჩაღეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება და მომდინარე წლის პირველ ნახევარში ღირსეული გამარჯვება მოიპოვეს. წლის პირველი ნახევრის დავალება 106,1 პროცენტით გაანაღდეს; განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს მეორე კვარტალში—გაიმარჯვეს საკაშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და დამსახურებულად მოიპოვეს სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

სამშენებლო სამმართველოთა კოლექტივებმა ახალი ძალით გააჩაღეს შეჯიბრება „სიუხვის არხის“ მშენებლობაზე და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. მშენებლების დაუღალავ მუშაობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მშენებლობის დაწყებიდან მიმდინარე წლის ივლისის პირველ რიცხვამდე ათვისებულია 25,6 მილიონი მანეთი. შესრულებულია 23 მილიონი კუბური მეტრი მიწისა და კლდის, 200 ათასი კუბური მეტრი ბეტონის სამუშაოები.

უზარმაზარ ტერიტორიაზე გადაჭიმული მშენებლობა დავათვალიერეთ. ვნახეთ ის ადამიანები, რომლებიც ამ საშვილიშვილო არხის მშენებლობისათვის ძალას და ენერგიას არ იშურებენ, მეგზურად ტრესტის მმართველის მოადგილე, ინჟინერი პ. სვანაძე გამოგვყავა. პირველად სათავე ნაგებობის დასათვალიერებლად გავემგზავრეთ. პანკისის ულამაზეს ხეობას მივყვებოდით, თვალწარმტაც ბუნებას თვალს ვერ ვაშორებდით. სოფელ დუისის ბოლოს გამოჩნდა ალაზნის სათავე ნაგებობა. გულდასმით დავათვალიერეთ ეს უნიკალური მშენებლობა.

— აქ ყველაფერი დამთავრებულია, გვაკლია ფარების დამონტაჟება, — გვეუბნება ტრესტის მმართველის მოადგილე — ამ ნაგებობამ უნდა გაატაროს 24 კუბური მეტრი წყალი წამში. გვალვის დროს მდინარე ალაზანი ზოგჯერ ვერ მოგვცემს წყლის აღნიშნულ რაოდენობას. ამისათვის ვაშენებთ მეორე სათავე ნაგებობას მდინარე ილტოზე, რომელიც მოგვცემს 6 კუბურ მეტრ წყალს წამში. ამ ორი მდინარის წყალი ერთიმეორეს რომ შეეერთოთო, ამისათვის ვაშენებთ გვირაბებს, გალერიებს, მიწაყრილებს. ჯერჯერობით ყველაზე რთული და მძიმე სამუშაოები მშენებლობის ამ უბანზე გვაქვს.

აქ მუშაობას აწარმოებს მეორე სამშენებლო სამმართველო (უფროსი კ. თულაშვილი). გამოირკვა, რომ 9 თვეში სამუშაო უფრო მეტია შესრულებული, ვიდრე ამას გრაფიკი ითვალისწინებდა.

სამმართველოს უფროსმა კ. თუთავი ნაგებობას მდინარე ილტოზე, რომელიც მოგვცემს 6 კუბურ მეტრ წყალს წამში. ამ ორი მდინარის წყალი ერთიმეორეს რომ შეეერთოთო, ამისათვის ვაშენებთ გვირაბებს, გალერიებს, მიწაყრილებს. ჯერჯერობით ყველაზე რთული და მძიმე სამუშაოები მშენებლობის ამ უბანზე გვაქვს.

აქ მუშაობას აწარმოებს მეორე სამშენებლო სამმართველო (უფროსი კ. თულაშვილი). გამოირკვა, რომ 9 თვეში სამუშაო უფრო მეტია შესრულებული, ვიდრე ამას გრაფიკი ითვალისწინებდა.

სამმართველოს უფროსმა კ. თუათურიდან ჩამოსული კარგად დახელოვნებული გვირაბგამყვანებიან.

— იმ ბრიგადის წევრებმა, რომელშიც შედიან ვალერი ყაველაშვილი, დიმიტრი, ზაურ და გურამ აბრამიშვილები, არაერთხელ გამოიჩინეს თავი, დიდი წვლილი შეიტანეს სამუშაოთა ვადამდე და მაღალ ხარისხოვნად შესრულების საქმეში. ახლა ამაყად დგანან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის საიუბილეო შრომითს ვახტზე. პირობა დაღეს ყოველი თვის გეგმა გრაფიკით გათვალისწინებულზე 5 დღით ადრე შეასრულონ, ხოლო 1971 წლის ორი თვის გეგმის შესრულება 20 თებერვლისათვის უპატაკაონ სამშობლოს.

დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს № 4 გვირაბის მშენებლობა. ეს გვირაბი 1.250 მეტრი სიგრძისა იქნება. აქედან 750 მეტრი უკვე გაყვანილია. უბნის ხელმძღვანელები განსაკუთრებით უქებენ მარჯვენას იმ ბრიგადის წევრებს, რომელსაც ვარლამ ლომთაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადაში შედიან ტყიბულიდან ჩამოსული საუკეთესო გვირაბმშენებლები რომან და იაშა ბუხაიძეები, კანდიდ ყიფიანი და მატანელი არჩილ ჭიჭიაშვილი, რომლებიც ცვლის ნორმებს ყოველთვის 115-120 პროცენტით ასრულებენ.

ალაზანშენებლობის პარალელურად კეთდება მეორე სამვილიშვილო და სასიკეთო საქმე — სოფელ დუისტურიდან გამოკყავთ სასმელი წყალი. მშენებლებს გათვალისწინებული აქვთ წყალსადენის მშენებლობა დაამთავრონ და იგი საექსპლოატაციოდ გადასცენ 1971 წლის ბოლოსათვის. ეს დიდი საჩუქარი იქნება ახმეტის რაიონის სოფლებისათვის.

დაბანდებული მილიონობით მანეთი წლების განმავლობაში უმძიმრაოდ რომ არ იყოს და ხალხის სამსახურში ჩაყენონ, მშენებლებს გადაწყვეტილი აქვთ მომავალ წელს საექსპლოატაციოდ ჩაბარონ სარწყავი ქსელი, რომელიც ახმეტის რაიონში მორწყავს 850 ჰექტარზე მეტ ფართობს.

მეოთხე სამმართველომ, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობს ახალგაზრდა ინჟინერი ი. სანადირაძე, მესამე კვარტალში ყველას გაუსწრო და ცხრა თვის გეგმა 23 სექტემბრისათვის 114,2 პროცენტით შესრულებულ 9 მილიონზე მეტი პირობითი ქილა კონსერვი, 8 თვეში შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 7,7 პროცენტით. 9 თვეში გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 2,1 მილიონი მანეთის პროდუქცია. საამაყოა, რომ რეალიზებულ პროდუქციაზე ამ პერიოდში რეკლამაციები არ მიგვიღია, რაც ჩვენი ნაწარმის მაღალ ხარისხზე მეტყველებს.

ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად გაფართოდა პროდუქციის ასორტიმენტი. მარტო წელს ათვისებულია თერთმეტი ახალი სახის ნაწარმი. სულ კი ამჟამად 130 დასახელების პროდუქციას ეაწარმოებს საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა დიდ სამრეწველო ცენტრს, აგრეთვე საზღვარგარეთის ისეთ ქვეყნებს, როგორიც არის ფინეთი, პოლონეთი, ინგლისი, მონღოლეთი და სხვ.

რესპუბლიკის საკონსერვო მრეწველობის მუშაკთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი პროდუქცია ყველგან მოსწონთ. საზოგადოებრივი ფირმები, სახელმწიფოები სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ, რაც ახალი პასუხისაგები ამოცანების წინაშე გვაყენებს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ქართული კონსერვების მარკა მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტებს გავუთანაბრთო. ეს ჩვენი დიდი მოვალეობაა.

**რ. დოლიძე,**

„საკონსერვტრესტის“ მმართველი.

# ქართული კონსერვი

ყოველი ნაწარმის მთავარი შემფასებელი და განმსჯელი მომხმარებელია. თუ ეგი კმაყოფილია, ეს იმას ნიშნავს, რომ პროდუქცია კარგია და დღევანდელ მოთხოვნებს შეესაბამება. მაგრამ ნაწარმი რა მაღალი ხარისხისაც უნდა იყოს, მრეწველობის მუშაკებს თვითდამშვიდების უფლება არა აქვთ. ისინი მოვალენი არიან არათუ მხარდამხარ მიჰყვნენ დროს, არამედ გაუსწრონ კიდეც. „საქონსერვტრესტის“ მრავალრიცხოვან სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების ზრუნვის მთავარი საგანიც სწორედ ეს არის. ქართული კონსერვის მომხმარებელი მარტო ჩვენი ქვეყანა როდია, იგი საზღვარგარეთის მრავალ სახელმწიფოშიც იგზავნება. ამიტომ ჩვენი შრომა მეტად პასუხსაგებია: ქართული კონსერვი მხოლოდ უმაღლესი ხარისხისა უნდა იყოს, შეესაბამებოდეს მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტებს.

ამ მხრივ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის საკონსერვო საწარმოებმა ბევრი რამ გააკეთეს. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად გაზრდილ ნაწარმის გამოშვების მოცულობა, გადაახალისეს საწარმოთა ტექნიკური ბაზა, ამასთან მოვალი ახალი სახის პროდუქცია გაუგზავნეს მომხმარებელს.

როგორც ცნობილია, საკონსერვო მრეწველობა მჭიდრო კავშირშია სოფლის მეურნეობასთან. სწორედ სოფელი გვაწვდის იმ ნედლეულს, რომელიც უნდა გადამუშავდეს. ამიტომ საკონსერვო მრეწველობის შემდგომი განვითარება დიდად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობაზე. უნდა აღინიშნოთ, რომ ჯერჯერობით საკონსერვო ნედლეულის დამზადება და მოსახლეობისათვის მიწოდება საგრძნობლად ჩამორჩება რაციონალური კვების სხვა ნორმებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმებმა დიდი ღონისძიებანი დასახეს უახლოეს წლებში ბოსტნეულსა და ხილზე მოსახლეობის მოთხოვნილების მთლიანად დაკმაყოფილებისათვის. მომავალი ხუთწლედის ბოლოს ჩვენს ქვეყანაში ბოსტნეულის სახელმწიფო შესყიდვამ 15 მილიონ ტონას უნდა მიაღწიოს, ხილკენკროვანი ნაყოფისა — 5 მილიონ ტონას, ყურძნისა — 5,4 მილიონ ტონას, რაც თითქმის ორჯერ აღემატება დღევანდელ დონეს. მაგრამ ხილ-ბოსტნეულით მოსახლეობის მთლიანად დაკმაყოფილება შეუძლებელია, თუ შემდგომში უფრო ფართოდ არ განვითარდა საკონსერვო მრეწველობა, რომელიც მოვალეა წელიწადის ყოველ დროში გეგმაზომიერად მიაწოდოს დაკონსერვებული ხილი ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეს. ახლადმოწეული ნაყოფი ხომ მალე ფუჭდება.

მართალია, რესპუბლიკის საკონსერვო საწარმოებმა მომდინარე ხუთწლედში თითქმის 80 მილიონი პირობითი ქილა კონსერვით გაზარდეს ნაწარმის გამოშვება, მაგრამ ეს ზღვარი არ არის. ასეთი სწრაფი განვითარების ტემპი კვლავაც უნდა შეგინარჩუნოთ და მომავალი ხუთწლედის ბოლოსთვის კონსერვების გამოშვება წლიურად 306 მილიონ პირობით ქილამდე ავიყვანოთ, ეს ძალიან დიდი ამოცანაა.

ტექნიკური პროგრესი სულ უფრო ფართოდ ინერგება ჩვენს საწარმოებში. ძველი დანადგარ-მოწყობილობა იცვლება ახალი, მაღალი წარმადობის დანადგარებით, მონტაჟდება ნაკადური ხაზები, მწყობრში დგება ახალი სამძღვარები, ნედლეულის შესანახად იგება მაცივრები, ინერგება მოწინავე ტექნოლოგია, დიდი საშუშაოები ხორციელდება ნაწარმის გაფორმების გაუმჯობესებისათვის და სხვ.

მაგრამ ყველაფერი ეს, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ არ შეესაბამება იმ გაზრდილ მოთხოვნებს, რომლებსაც ცხოვრება გვიყენებს საკონსერვო მრეწველობის მუშაკებს. ამიტომ აქედანვე ვცდილობთ მომზადებული შევხვდეთ მომავალ ხუთწლედს, რომ მეტი ეფექტი მივცეთ იმ დიდ ღონისძიებებს, რომლებიც საწარმოთა ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისათვის უნდა განვახორციელოთ: 1971-1975 წლებში ჩვენს ქარხნებში 1.425 ერთეული სხვადასხვა ნაკადური ხაზი, მანქანა, მოწყობილობა უნდა შეიცვალოს, რაც საშუალებას მოგვცემს 1975 წლისათვის კონსერვების წარმოება 1970 წელთან შედარებით 141,1 პროცენტით გავზარდოთ, სიმძლავრეთა გამოყენების კოეფიციენტი 58 პროცენტიდან 80 პროცენტამდე ავამაღლოთ და შრომის ნაყოფიერება 35 პროცენტით გავადიდოთ...

მომდინარე წლის აპრილიდან ჩვენი საწარმოები დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადავიდნენ. სამეურნეო ანგარიშის სიკეთე ამ განცალკევ მოკლე პერიოდშიც უკვე იგრძნობა. მარტო ახალი ტექნიკის დანერგვით, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებით, ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიის ეკონომიით მიღებულია 5 მილიონ 182 ათასი მანეთი მოგება, გეგმის გადამეტებით გაწარმოებულა 9 მილიონზე მეტი პირობითი ქილა კონსერვი, 8 თვეში შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 7,7 პროცენტით. 9 თვეში გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 2,1 მილიონი მანეთის პროდუქცია. საამაყოა, რომ რეალიზებულ პროდუქციაზე ამ პერიოდში რეკლამაციები არ მიგვიღია, რაც ჩვენი ნაწარმის მაღალ ხარისხზე მეტყველებს.

ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად გაფართოდა პროდუქციის ასორტიმენტი. მარტო წელს ათვისებულია თერთმეტი ახალი სახის ნაწარმი. სულ კი ამჟამად 130 დასახელების პროდუქციას ეაწარმოებს საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა დიდ სამრეწველო ცენტრს, აგრეთვე საზღვარგარეთის ისეთ ქვეყნებს, როგორიც არის ფინეთი, პოლონეთი, ინგლისი, მონღოლეთი და სხვ.

რესპუბლიკის საკონსერვო მრეწველობის მუშაკთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი პროდუქცია ყველგან მოსწონთ. საზოგადოებრივი ფირმები, სახელმწიფოები სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ, რაც ახალი პასუხისაგები ამოცანების წინაშე გვაყენებს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ქართული კონსერვების მარკა მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტებს გავუთანაბრთო. ეს ჩვენი დიდი მოვალეობაა.

**რ. დოლიძე,**

„საკონსერვტრესტის“ მმართველი.

# საინტერესოდ, საქმიანად

### პროკაბანდისტთა სემინარზე

16 ოქტომბერს თბილისში მუშაობა დაამთავრა საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტების, ხალქომი კომიტეტებისა და რაიკომების ლექტორთა ჯგუფების ხელმძღვანელთა სამდღიანმა სემინარმა, რომელიც მიეძღვნა სკკპ XXIV ყრილობისათვის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავისათვის მზადებას.

მოხსენება — „იდეოლოგიური მუშაობის აქტუალური ამოცანები სკკპ XXIV ყრილობისათვის, საბჭოთა ხელისუფლებისა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის მზადებასთან დაკავშირებით“ — გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგემ დ. გოგოხიამ. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა მ. ღვინჭილიამ გააკეთა მოხსენება „საქართველოს სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა და მისი განვითარების პერსპექტივები“.

„ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები“ — ამ თემას მიუძღვნა თავისი გამოსვლა პროფესორმა კ. წერეთელმა. მოხსენება — „საქართველოს კომპარტიის შექმნა უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტია ქართველი ხალხის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში“ — წაიკითხა პროფესორმა გ. ყვანიამ. „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში“ — ასე ეწოდებოდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ნ. მახარაძის მოხსენებას. პროფესორმა გ. ბერეგაძემ თავის გამოსვლაში გააშუქა თემა „ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება საქართველოში“. მოხსენება — „ლექტორის ოსტატობის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი“ გააკეთა პროფესორმა დ. ენუქიძემ. რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილე გ. ბიწაძე და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. იოსავა შეეხენ საზოგადოებრიობის როლს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. ახვლედიანმა ილაპარაკა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებაში რესპუბლიკის გამომცემლობათა საქმიანობაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ლექტორმა ვ. კოტაევმა ილაპარაკა სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე. (საქდისი).

სურათზე: ზემოალაზნის სარწყავი სისტემის საამშენებლო ტრესტის მე-4 სამმართველოს უბნის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ვაჟა ტულუში (მარცხნიდან მესამე) დავალებას აძლევს მექანიზატორ ვ. გახუტიშვილს (მარჯვნივ), მებეტონეთა ბრიგადის ხელმძღვანელს ა. იმერლიშვილს და მებეტონე ვ. ჯავახიშვილს.

ფოტო ა. ბოროდსკისა.

ხარისხი, ასორტიმენტი, რენტაბელობა

„ეკონომიჩესკაია გაზეტა“ 1971 წელს

Экономическая газета

# ეს თქვენი მეგობარია

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველკვირეული „ეკონომიჩესკაია გაზეტა“ ნაგარაუდევია მკითხველთა ფართო წრისათვის — ეკონომისტებისა და ოსტატებისათვის, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მუშებისათვის, საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამშენებლო და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებისათვის, პარტიული და პროფკავშირული მუშაკებისათვის, პრაპაგანდისტებისათვის და უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მასწავლებლებისათვის — ყველასათვის, ვინაც აინტერესებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების თეორიული და პრაქტიკული პრობლემები, აგრეთვე საზღვარგარეთის ეკონომიკის პრობლემები.

სადაც უნდა შრომობდეთ — ქარხანაში, მშენებლობაზე თუ მინდვრად, საგეგმო თუ სამეურნეო ორგანოებში, სამეცნიერო დაწესებულებებში — ყოველთვის საქმე გაქვთ ეკონომიურ პრაქტიკასთან. სამეურნეო ცხოვრების საკითხების უკეთ გადაჭრაში, რომლებიც თქვენს წინაშე დადგება, მუდამ დაგეხმარებათ „ეკონომიჩესკაია გაზეტა“. რადგან მის ფურცლებზე სისტემატურად შუქდება ეკონომიური მუშაობის საკითხები ტექნიკურ-ეკონომიური ბაზიდან ეკონომიური მუშაობა, ფასები, ფინანსები, ბანკები, ეკონომიური ანგარიშწარმოება, ეკონომიური სტიმულირების მეთოდები. გაზეთში ქვეყნდება მეთოდური მასალები, დებულებები და რეკომენდაციები ეკონომიური მუშაობის შესახებ საწარმოებისათვის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის, სპეციალური გამოშვებანი სამეურნეო რეფორმის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ყოველთვიურად ქვეყნდება სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობები მრეწველობის მუშაობის შესახებ და მათი კომენტარები. მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, მშენებლობის დარგების გაშლილ ეკონომიურ მიმოხილვებში შუქდება ხუთწლედის დავალებათა შესრულების მიმდინარეობა, მოწინავე საწარმოთა გამოცდილება.

ყოველკვირეული სისტემატურად აშუქებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სისტემის განვითარების კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცების, სოფლად კულტურული მშენებლობის ძირითად საკითხებს. საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა დასახმარებლად ქვეყნდება საუბარ-კონსულტაციები მეურნეობებში სრული სამეურნეო ანგარიშის დანერგვის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე, ნაამბობი საბჭოთა მეურნეობების იმ პირველი ჯგუფების გამოცდილებაზე, რომლებიც გადაყვანილ იქნენ მუშაობის ახალ პირობებზე. ყოველკვირეულის თვითეულ ნომერშია სპეციალური გვერდები კოლმეურნეობათა ეკონომისტებისათვის.

საწარმოთა ხ

# მსოფლიო დღეს

## მშვიდობიანი განვითარების გზები

### გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საიუბილეო სესია

**ნიუ-იორკი,** 16 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 25-ე სესია განაგრძობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 25 წლისთავის დღესასწაულისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომებს.

ლიბანის სპეციალურმა წარმომადგენელმა შარლ ჰელუმ თავის გამოსვლაში მკაცრად გააკრიტიკა ისრაელის დამპყრობლური პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში. მან ხაზი გაუსვა, რომ ისრაელი აგრესორობის მიერ პალესტინის მცხოვრებთა განდევნა მათი მიწებიდან სერიოზული დანაშაულია საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ. ჰელუმ იმედი გამოთქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეძლებს გამოახახოს მსოფლიოს ამ რაიონში კონფლიქტის სამართლიანი პოლიტიკური გადაჭრის გზები.

რასიზმისა და კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკა ტანზანიის პრეზიდენტის ჯ. ნიერერეს გამოსვლის მთავარი თემა იყო. ტანზანიის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ აპარტეიდის პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და სამხრეთ როდეზიის რასისტული რეჟიმები, და კოლონიური ჩაგვრა, რასაც მიმართავს პორტუგალიის მთავრობა, აიძულებენ აფრიკის ხალხებს დაიწყონ შეიარაღებული ბრძოლა.

ტანზანიის პრეზიდენტმა მხურვალედ მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ყველა ქვეყანას იბრძოლონ აფრიკის კონტინენტზე სამართლიანობის დამყარებისათვის.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ გაბონის პრეზიდენტი ბონგო, ავრეთვე ლიბერიისა და ესპანეთის წარმომადგენლები.

გამოვიდა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დღის სხდომაზე, მალაიზიის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ აბდულ რაჰმან ისმაილმა „დიდი შეშფოთება და წუხილი" გამოთქვა იმის გამო, რომ ინდოჩინეთში გრძელდება ომი, რომელიც, მისი თქმით, „სერიოზულ საფრთხეს უქმნის ამ რაიონის მშვიდობას, პროგრესსა და განვითარებას," მან აღნიშნა, რომ ვიეტნამის ომი გავრცელდა კამბოჯასა და ლაოსზე და ახლა შეიქმნა მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის ფრიად ძნელი ვითარება.

უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. პეტერმა ხაზი გაუსვა, რომ უნგრეთს თავის მოვალეობად მიაჩნია სხვა ხალხებთან ერთად ეძიოს კაცობრიობის მშვიდობიანი განვითარების გზები. მან აღნიშნა ატომური იარაღის გავრცელების საშიშროება და განაცხადა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების მოლაპარაკებას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

შემდეგ ი. პეტერმა გენერალური ასამბლეის ყურადღება მიაპყრო ყველაზე საშიშ კონფლიქტებს — ამერიკის აგრესიას ვიეტნამში და ისრაელის აგრესიას ახლო აღმოსავლეთში. ეს კონფლიქტები, განაცხადა მან, ხელს უშლიან საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებას.

უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შეეხო ევროპაში შექმნილ მდგომარეობას და ხაზი გაუსვა, რომ ძირითადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს სიტუაციას ამ რეგიონში, არის სოციალიზმის სისტემა, რომელმაც შეძლო უზრუნველყოფა ევროპის მშვიდობიანი განვითარება და რომლის მეოხებით მილიტარიზმისა და რევანშიზმის ხრიკები განწირულია ჩასაფუშავად.

იემენის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა მოჰსენ ალშედ ალ-აინმ თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შექმნილი მდგომარეობა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს და რეალურ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას. მან მკაცრად გააკრიტიკა კოლონიური სახელმწიფოები, რომლებიც აფრიკის ქვეყნებში ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობათა ჩახშობის პოლიტიკას ადგანან.

შეეხო რა მდგომარეობას ახლო აღმოსავლეთში, ალ-აინმ ხაზი გაუსვა, რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი მხარს დაუჭერს, პალესტინელთა სამართლიან საქმეს. მან გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ, საბოლოო ანგარიშით, გაიმარჯვებენ ისინი, ვინც იბრძვის ისრაელი ოკუპანტების წინააღმდეგ ამ რაიონში.

გენერალური ასამბლეის 25-ე სესია განაგრძობს მუშაობას.

---

## ვეცნობით იტალიას

(დასასრული)

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი ეროვნული ხელოვნების უნიკალური შედევრების საგანძურია. რესპუბლიკის სტუმრები, როგორც წესი, ეცნობიან მას. იტალიის დელეგაციის წევრებმა საქართველოს გაცნობა სწორედ ხელოვნების მუზეუმით დაიწყეს. მის სეიფში, სადაც ხალხის ფასდაუდებელი საუნჯეა დაცული, სტუმრების აღტაცება გამოიწვია ქართველ ოქრომჭედლთა ნამუშევრებმა.

მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში მოთავსებულია იტალიელ მხატვართა და მოქანდაკეთა ნაწარმოებების ეგზპოზიცია საცავის ფონდებიდან. ამ გამოფენაზე იტალიელ სტუმართა ყურადღება მიიპყრო მე-14 საუკუნის ვენეციელი ხელოვანის პაოლოს ნამუშევარმა, რომელიც ერთადერთია საბჭოთა კავშირში. იგი ორ წელიწადს იყო ეგზპონირებული ერმიტაჟში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, მუზეუმის დირექტორმა ზ. ამირანაშვილმა გამოფენის გახსნისას თქვა:

— დღეს ჩვენ მოწმენი ვართ კიდევ ერთი შესანიშნავი შეხვედრისა, იტალიის დიდ ხელოვნებასთან შეხვედრისა. განსაკუთრებით გვახარებს, რომ ეს ხდება რაფაელისადმი მიძღვნილ წელს. სურათი „დვთისმშობელი ყრმითა და იოანე ნათლისმცემლით", რომელიც პირველად არის ეგზპონირებული აქ, ეკუთვნის ამ დიდი ხელოვანის უალაზს. იგი ჩვენი საამაყეა, ეგზპოზიციის მშვენებაა.

საპასუხო სიტყვაში სენატორმა ფრანკო ანტონიჩელიმ აღნიშნა ამ მოვლენის მნიშვნელობა და თქვა, რომ დელეგაციის წევრები სრულიად არ მოელოდნენ ასეთ შესანიშნავ გამოფენას, მოხარული ვართ, რომ თქვენი ხალხი ასე დიდად აფასებს იტალიური ხელოვნების საუნჯეს-წარმომადგენლებს, ასე ფაქიზად იცავს და ფრთხილობს ... ეს ... იმ ხალხს შეუძლია ასე დიდად აფასებდეს სხვა ხალხის ხელოვნებას, რომელსაც თვითონ აქვს მდიდარი წარსული, ჰყავს ხელოვნების დიდი წარმომადგენლები.

ნაშუადღევს „სსრ კავშირ-იტალიის" საზოგადოების დელეგაცია ეცნობოდა საქართველოს დედაქალაქის იხოვრებას. მისი წევრები იყვნენ შამპანური ღვინოების ქარხანაში, ჩაის საწონ ფაბრიკაში.

(საკდესი).

---

ნიუ-იორკი

### შეწყდეს აგრესია

**ნიუ-იორკი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). „არცერთი ზედმეტი დოლარი, არც ერთი კაცი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ომისათვის", — ნათქვამია პეტიციაში, რომელიც ნიუ-იორკის ქალაქის ხელისუფალთ გადასცეს ქალაქის ომის მოწინააღმდეგე ორგანიზაციებისა და პროგრესული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.**

## აპეზღებენ აგრესორს

ვაშინგტონი

**ვაშინგტონი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). დამთავრდა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ებანის ვიზიტი ვაშინგტონში. თქმა ისარელის მინისტრის ეს ვიზიტი „არა ოფიციალური" ვიზიტად გამოაცხადეს, მაგრამ მინისტრი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების მაღალი თანამდებობის ოფიციალურ მოღვაწეებს, მათ შორის ვიცე-პრეზიდენტს ს. აგნიოსა და სახელმწიფო მდივანს უ. როჯერსს.**

**პრესა აღნიშნავს, რომ ებანის ჩასვლის ნამდვილი მიზანი იყო შემდგომი კოორდინირება ვაშინგტონსა და ტელ-ავივის საგარეოპოლიტიკური კურსისა ახლო აღმოსავლეთში. ებრბა რა ებანის საუბარს როჯერსთან, გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" ხაზს უსვამს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ „სრული თანხმობით და გაგებით ეკიდება ისრაელის პოზიციას". ისოშვიტიდ პრესის საგენტო აღნიშნავს, რომ ებანის მოლაპარაკება როჯერსთან მიმდინარეობდა „სრული თანხმობის" ვითარებაში. ისრაელის მინისტრის შეხვედრა ვიცე-პრეზიდენტ ს. აგნიოსთან, საგენტოს ცნობით ორივე მხარემ შეაფასა როგორც „ფრიად სასარგებლო".**

**ისრაელის მინისტრმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნა გამოიყენა აგრეთვე იმისათვის, რომ სახსრები შეეგროვებინა სიონისტურ ორგანიზაციებში, რომლებიც ფართოდ უჭერენ მხარს ისრაელის აგრესიას.**

---

## ფაქტები

### ანვარ სადათი — პრეზიდენტი

● **კაირო, 16 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ გამართული რეფერენდუმის შედეგად არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულია ანვარ სადათი.**

**როგორც მენის სააგენტომ გადასცა, შინაგან საქმეთა მინისტრმა შაარაუი გომაამ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე ანვარ სადათის კანდიდატურას ხმა მისცა 6.432.587 კაცმა რეფერენდუმში მონაწილე 7.157.653 ამომრჩეველდან.**

### პლენუმმა მუშაობა დაამთავრა

● **პარიზი. 16 ოქტომბერი. (საკდესი). პარიზში მუშაობა დაამთავრა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. როგორც დღეს „ლუმანიტე" იუწყება, პლენუმმა მოიწონა საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივნის მოადგილის ჟორჟ მარშეს მოხსენება „პარტიის პოლიტიკური მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ".**

### საგაჭრო ხელშეკრულება

● **ვარშავა. 15 ოქტომბერი (საკდესი). დღეს აქ ხელი მოაწერეს გრძელვადიან ხელშეკრულებას 1970-1974 წლებში პოლონეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის საგაჭრო გაცვლის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. ამას იუწყება პოლონეთის დეპეშათა სააგენტო.**

### ნდობის ვოტუმი

● **პარიზი. 16 ოქტომბერი (საკდესი). საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ მოიწონა პრემიერ-მინისტრის ჟ. შაბან-დელმასის მოხსენება მთავრობის ზოგადი პოლიტიკის შესახებ. მოხსენების განხილვის შემდეგ გაიმართა კენჭისყრა მთავრობისადმი ნდობის საკითხზე.**

### წარმოების დაქვეითება

● **ვაშინგტონი. 16 ოქტომბერი (საკდესი). სამრეწველო წარმოების დონე ამერიკის შეერთებულ შტატებში უკანასკნელი ორი თვის მანძილზე სულ უფრო მცირდებოდა. სექტემბერში სამრეწველო წარმოების ინდექსი 1,7 პროცენტით დაეცა აგვისტოსთან შედარებით.**

### კონგრესმა მუშაობა შეწყვიტა

● **ვაშინგტონი. 16 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ 16 ნოემბრამდე შეწყვიტა მუშაობა ამერიკის კონგრესმა. კონგრესმენები სასწრაფოდ გაემგზავრნენ თავიანთ საარჩევნო ოლქებში, რათა ჩაებნენ ხელახალი არჩევისათვის წინასაარჩევნო ბრძოლაში. 3 ნოემბერს ხელახლა აირჩევენ სენატის მესამედსა და წარმომადგენლობა პალატის მთელ შემადგენლობას.**

### ბალდადის რადიოს ცნობა

● **ბეირუთი. 15 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ბაღდადის რადიო იუწყება, ერაყის რევოლუციური სარდლობის სამჭიმ ვიცე-პრეზიდენტი ალია

# სტუმრად ჟურნალისტებთან

ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ეთმობა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას. საყოფაცხოვრებო სამსახურის განვითარების ტემპის დაჩქარება იმის შედეგია, რომ გეგმაზომიერად ხორციელდება სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი, რათა საყოფაცხოვრებო მომსახურება გადაიქცეს სახალხო მეურნეობის დიდ მექანიზებულ დარგად.

საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი განვითარების საკითხებს მიეძღვნა პრესკონფერენცია, რომელიც 16 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბში.

პრესკონფერენცია გახსნა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა დ. მჟედლიშვილმა.

ცენტრალური, რესპუბლიკური, საქალაქო გაზეთების, ტელევიზიისა და რადიოს ჟურნალისტთა წინაშე გამოვიდა საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი შ. ლუმბაძე. მან ილაპარაკა მოსახლეობის მომსახურების პერსპექტივებზე, ახალ ხუთწლედში მომსახურების აქტუალურ პრობლემებზე და მათი გადაწყვეტის გზებზე. ამს. დუმბაძემ უპასუხა ჟურნალისტთა კითხვებზე.

პრესკონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე დ. ბოგოხია. (საქდისი).

ზღვაზე ცივისაქირთან. ფოტო ს. ჩანტლაძისა.

# განდიტური თავდასხმა საბჭოთა თვითმფრინავზე

15 ოქტომბერს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის თვითმფრინავი „ან-24“ მორიგი რეისით მიფრინავდა ქალაქ ბათუმიდან სოხუმში.

ორმა შეიარაღებულმა ბანდიტმა თარაღი იხმარა თვითმფრინავის ეკიპაჟის წინააღმდეგ და აიძულა თვითმფრინავი შეეცვალა მარშრუტი და დამჯდარიყო თურქეთის ტერიტორიაზე ქალაქ ტრაპიზონში.

შეტაკების დროს ბანდიტებმა მოკლეს ბორტ-გამყოლი ქალი, რომელიც ცდილობდა არ შეეშვა ბანდიტები თვითმფრინავის კაბინაში. ორი მფრინავი დაიჭრა.

საბჭოთა მთავრობამ დღეს მიმართა თურქეთის ხელისუფლებს თხოვნით გადმოსცენ დამნაშავე-მკვლელები საბჭოთა სამართალში მისაცემად, აგრეთვე დააბრუნონ თვითმფრინავი და საბჭოთა მოქალაქენი, რომლებიც „ან-24“ თვითმფრინავში იყვნენ. (საკდისი).

□ □

# იაპონელი მეთევზეები გადაარჩინეს

იაპონიის სარეწი სანდალი თევზს იჭერდა ანანის უბეში (კამჩატკის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო). მოულოდნელად მწყობრიდან გამოვიდა ძრავა. თერმეტბალიანმა შტორმმა გაწყვიტა ღუნის ჯაჭვი, და სანდალი რიფებისაკენ წაიღო. ეთერში გაისმა განწირულთა ხმები: ისინი შველას ითხოვდნენ.

ავარიის ადგილზე პირველი მივიდა კამჩატკის საზღვაო სანაოსნოს გემი „ტერმეზი“. დახმარება დროული აღმოჩნდა: იაპონიის სანდალი რამდენიმე მეტრზე იმყოფებოდა რიფებისაგან. ამინდის რთულ პირობებში საბჭოთა გემზე აიყვანეს 22 იაპონელი მეგბადური. (საკდისის კორ.).

ფლადივოსტოკი.

# გ. რატიანი

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საინტენდანტო სამსახურის გადამდგარი პოლკოვნიკი, საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი, სკკპ წევრი 1943 წლიდან **გრიგოლ პოლიკარპეს-ძე რატიანი.**

გ. რატიანი დაიბადა 1906 წელს წულუკიძის რაიონის სოფელ კონტეთში. მან განვლო შრომითი საქმიანობის სახელოვანი გზა რიგითი მონაგარიშიდან საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსამდე.

შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურს მან თავისი შეგნებული სიცოცხლის დიდი ნაწილი მოახმარა. 27 წლის მანძილზე იდგა საბჭოთა კანონიერების სადარაჯოზე. იგი იყო ნამდვილი ჩეკისტი ნათელი გონებითა და სუფთა ხელებით. მაღალი კვალიფიკაცია, ფართო ერუდიცია და ენთუზიაზმი აძლევდა საშუალებას ყოფილიყო აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი და ახალგაზრდა კადრების უანგარო მრჩეველი და აღმზრდელი. იგი რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორია. მათ შორის აღსანიშნავია „საბუღალტრო აღრიცხვის მოკლე კურსი“, „სარეწაო კოოპერაციის კალკულაცია“ და სხვ.

გ. რატიანი დაჯილდოებული იყო ბრონზის წითელი დროშის ორდენით და რამოდენიმე მედლით. მისი გვარი შეტანილი იყო სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატიო წიგნში.

გრიგოლ რატიანის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო.

**საინტერესოა ვიცოდეთ**

# რამდენ ხანს ვიცოცხლებთ?

## სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შესახებ

**ადამიანთა** სიცოცხლის შემდგომი გახანგრძლივება და მათი შემოქმედებითი შრომისუნარიანობის პერიოდის გადიდება ერთ-ერთი უმაღლესი მიზანია სოციალისტური სახელმწიფოსი, რომლის დროშას აწერია: „ყველაფერი ადამიანის მეგზნიერებისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის!“

საყოველთაოდ ცნობილია ის, რაც მიღწეულია ამ დარგში: **1896-1897 წლებში დაბადებულ რუსეთის მოქალაქეებს უნდა ეცოცხლათ საშუალოდ 32 წელი, ხოლო დღეს დაბადებულებმა უნდა იცოცხლონ ორჯერ და უფრო მეტი — 70 წელი.** ასეთია მილიონთა შრომის, ყოფაცხოვრების, დასვენების, კვების პირობების გაუმჯობესების, სამედიცინო მეცნიერების სწრაფი განვითარების, ჯანმრთელობის დაცვის მიღწევების შედეგი.

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ, ბევრს წერენ, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ საკმაოდ ხშირია ცნებათა არევდარევა. ყველაზე გავრცელებული შეცდომაა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაოგნებება არსებულ ადამიანთა საშუალო ასაკთან. კარგია გავიხსენოთ, რომ პირველი ტერმინი გულისხმობს გარკვეულ სტატისტიკურ მაჩვენებელს, რომლის გაანგარიშება ხდება რთული ფორმულებით ალბათობის თეორიის კანონების გამოყენებით. გაანგარიშების საფუძვლად იღებენ მონაცემებს მოსახლეობის თვითეული ასაკობრივი ჯგუფის რიცხვის შესახებ და გარდაცვლილთა ფაქტიური რიცხვის შესახებ იმავე ჯგუფებში. შემდეგ აიგება ერთგვარი მათემატიკური მოდელი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა განსაზღვრულ იქნას სიკვდილიანობის სტატისტიკური ოდენობა. ამრიგად, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის დახასიათება სავსებით ობიექტური ხდება.

**ასაკობრივი სიკვდილიანობის ახლანდელი დონისას სსრ კავშირში ერთსა და იმავე დროს დაბადებული 1000 ადამიანიდან 60 წლამდე იცოცხლებს 787, 70 წლამდე — 634, ხოლო 80 წლამდე მხოლოდ 380.** სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი ყველა ასაკში თუმცა მატულობს, მაგრამ არა ერთნაირად. გარდა ამისა, მოყვანილი მაჩვენებლები სამართლიანი აღმოჩნდება მხოლოდ იმ სავალდებულო პირობით, რომ თაობის მთელი მომავალი სიცოცხლის მანძილზე მეცნიერების, ტექნიკის, ჯანმრთელობის დაცვის განვითარება დარჩება გაანგარიშების მომენტში არსებულ დონეზე. მაგრამ ვინაიდან ჩვენ ვართ მოწმენი სწრაფი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, **რომ ჩვენი შვილები, შვილიშვილები და შვილთა შვილიშვილები უთოდ მეტს იცოცხლებენ.**

დემოგრაფია, თუ ჩავუფიქრდებით, მტკიცედ არის გადაანასკვული პოლიტიკასთან. მართლაც, უკვე დღეს **სიცოცხლის ყველაზე მაღალი ხანგრძლივობა შეეცალა, იმ ქვეყანაში, რომელიც უკვე თითქმის 200 წელია არ მონაწილეობს ომებში.** მაშასადამე, ამ თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა აქვს აქტიურ ბრძოლას მშვიდობისათვის მსოფლიოში.

მთელ რიგ განვითარებადს ქვეყნებში ის მაჩვენებელი, რომელზეც ლაპარაკი იყო, უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში ერთიორად და მეტად გადიდდა. მაგალითად, **ინდოეთში 1931 წელს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ძლივს აღწევდა 23 წელიწადს, 1961 წელს კი უკვე 47 წელიწადი შეადგინა.** ინდოეთის მაგალითი ადასტურებს: მთელი კაცობრიობა სასწაულოდ დაინტერესებულია სოციალური და კულტურული პროგრესით. **და განა სინდისის ქენჯნას არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ ჩვენი პლანეტის მოსახლეობის დაახლოებით ორი მესამედი ჯერჯერობით ორჯერ ნაკლებს ცოცხლობს, ვიდრე ადამიანები ეკონომიურად განვითარებულ ქვეყნებში!**

„მშრალი“ ციფრები ზოგჯერ ფრიად მეკვრმეტყველური აღმოჩნდება ხოლმე, კერძოდ, აბათილებს საყოველთაოდ მიღებულ აზრს „ძლიერი სქესის“ შესახებ. **პლანეტის ბევრ ქვეყანაში ქალები მამაკაცებზე უფრო დიდხანს ცოცხლობენ.** მაგრამ არის გამონაკლისებიც. მაგალითად, ინდოეთში, მეტისმეტად ნაადრეგ ქორწინებათა გამო ძალიან მაღალია დედების სიკვდილიანობა მშობიარობის დროს. ინდოეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ჩანდრასეკარის სიტყვით, „გოგონები-ცოლები სწრაფად გადიან ცხოვრების გზას ქორწინების სარეცელიდან საფლავამდე“.

მამაკაცთა და ქალთა სიცოცხლის ხანგრძლივობის სხვაობა სსრ კავშირში კი არა მცირდება, არამედ კიდეკაც მატულობს, **რევოლუციამდე ქალის სიცოცხლის ხანგრძლივობა 2 წლით აღემატებოდა მამაკაცისას, ახლა კი უკვე 8 წლით აღემატება,** რაც, აქვე უნდა ითქვას, დემოგრაფებს აფიქრებს.

**რით აიხსნება ქალთა შედარებით უფრო ხანგრძლივი სიცოცხლე?** უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, იმ გარდაქმნებით, რომლებმაც საბჭოთა მშრომელი ქალის უფლებები გაათანაბრა მამაკაცის უფლებებთან, ჩვენი სახელმწიფოს უღიდესი, შეუდარებელი ზრუნვით დედის ჯანმრთელობისათვის. რა თქმა უნდა, არც „წმინდა“ ბიოლოგია შეიძლება დავივიწყოთ, ქალის ორგანიზმი თავისი კონსტიტუციით გაცილებით უფრო გამძლეა, ვიდრე მამაკაცისა, ამას მოწმობს ბევრი საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი — ახალშობილთა შორის ბიჭები უფრო ხშირად იხოცებიან, ვიდრე გოგონები; ლენინგრადის ბოლოკადის წლებში მამაკაცები უფრო ხშირად იღუპებოდნენ, ვიდრე ანალოგიურ პირობებში მყოფი ქალები, და ა. შ.

მეორე მხრივ ფაქტია, რომ **მილიონობით მამაკაცთა ჯანმრთელობა სერიოზულად შერყეულია ომებით, ხოლო მრავალი ათასი სხვებისა — ალკოჰოლიანი სასმელების უზომოდ მოხმარებით და თამბაქოს წევით.** მამაკაცები ქალებზე უფრო ხშირად ზიანდებიან ტრავმატიზმით და წარმოების სხვა არახელსაყრელი ფაქტორებით.

ამრიგად, სტატისტიკა არკვევს ადამიანთა ნაადრევი სიკვდილიანობის გლობალურ მიზეზებს და გვიჩვენებს შემოქმედებითი დღეგრძელობის მიღწევის გზებს.

**მ. ბედნი,**
**მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.**

# მეორე ზარი

## ხომ არ თავდება საბჭოთა მოჭადრაკეების ჰეგემონია?

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მოჭადრაკეებმა ზედიზედ მეათედ მოიპოვეს გამარჯვება ოლიმპიადაზე, რომელიც დასავლეთ გერმანიის ქალაქ ზიგენში მიმდინარეობდა, ამ ახალ წარმატებას, ასე ვთქვათ, თავშეკავებით შეხვდნენ ჭადრაკის სამყაროში. ჩვენმა გუნდმა უნგრელებს მხოლოდ ერთი ქულით გაუსწორო და 27,5 ქულა მოაგროვა 44-დან, რამაც ფიდეს ახლანდელ პრეზიდენტს მაქს ეიუმს კერძო საუბარში ათქმევინა, ათგზის ჩემპიონებმა ამჯერად „ძლივსღონივობით“ გაიმარჯვესო.

არის თუ არა საფუძველი ასეთი თავშეკავებისათვის? მართალი ხომ არ არიან ისინი, ვისაც მიაჩნია, რომ საბჭოთა მოჭადრაკეების ჰეგემონია თავდება?

ვიდრე ასეთ კითხვებზე ვუპასუხებდეთ, ვნახოთ, როგორ გამოვიდნენ ჩვენი გროსმასტერები და რით შეიძლება აიხსნას, რომ ინტერვალი სსრ კავშირის გუნდსა და მეტოქეებს შორის, რომლებმაც მეორე ადგილი დაიკავეს, მინიმალური აღმოჩნდა — ყველაზე მცირე ათივე ოლიმპიადიდან.

მსოფლიოს ჩემპიონმა ბორის სპასკიმ პირველ დაფაზე უჩვენა ყველაზე კარგი შედეგი — 9,5 ქულა 12-დან, ამასთან ფინალში მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრები მოუგო გროსმასტერებს ფიშერს (ამერიკის შეერთებული შტატები) და გეორგიუს (რუმინეთი), რამაც ჩვენს გუნდს გამარჯვება მოუტანა ამ მატჩებში. ფიშერზე გამარჯვებას მეტად მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური აზრი ჰქონდა. და არა მარტო იმიტომ, რომ ამით ერთხელ კიდევ გაესვა ხაზი იმას, რომ რობერტ ფიშერს, მიუხედავად მთელი მისი უთოდ დიდი ნიჭისა, მაინც არა აქვს უფლება მოითხოვდეს პრივილეგიებს მსოფლიოს პირველობისათვის ბრძოლაში. ფიშერსაც კი არ შეშვენის მოურიდებლად არღვევდეს რიგს, რომელშიც დანან ისეთი შესანიშნავი გროსმაისტერები, როგორიც არიან ტიგრან პეტროსიანი, ვიქტორ კორჩნოი, ბენტ ლარსენი (დანია), ლაიმს პორტიში (უნგრეთი).

მაგრამ მნიშვნელობა სპასკის გამარჯვებისა, რომელმაც ჯეროვან ადგილზე დააყენა ამერიკელი გროსმაისტერი, ამით როდი ამოიწურება.

გარდა, ასე ვთქვათ, „ინდივიდუალური“ მნიშვნელობისა, მას ჰქონდა კიდევ უშუალო „საგუნდო აზრი“. სპასკიმ მოუგო ფიშერს მატჩში, სადაც ჩვენს ნაკრებს დამარცხება ემუქრებოდა: პოლუგაევსკიმ თავისი პარტია გადაარჩინა საეტიუდო მანევრების მეთხებით, ხოლო გელერმა ყაიმით დაამთავრა მხოლოდ მოწინააღმდეგის დახმარებით. სპასკის მოგებამ საბრძოლო სულისკვეთება შთაბერა გუნდს, შესაძლებლობა მისცა გაემარჯვა ძლიერ მოწინააღმდეგეებზე და ბევრად შეუწყო ხელი იმას, რომ სსრ კავშირის ნაკრებმა ოქროს მედლები მოიპოვა. საინტერესოა, რომ პირველ დაფაზე საუკეთესო შედეგისათვის დაჯილდოული იყო სპეციალური პრიზი — ელეგანტური კოსტიუმი. ეს პრიზი მართლაც სპეციალური იყო, რადგან კოსტიუმი წინასწარ შეკერეს ფიშერისათვის. ვაი რომ მკერავს მეორედ დასჭირდა ეშრომა, რომ კოსტიუმი სპასკისათვის მოერგო...

საკმაოდ გულდაჯერებით, წაუბორძიკებლად თამამობდა პეტროსიანიც, რომელმაც 14-დან 10 ქულა მოაგროვა. მართალია, ფინალში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ყაიმების სერია გააკეთა, მაგრამ, სხვა გუნდების ლიდერებს რომ ხვდებოდა, უფლება არა ჰქონდა გაეწია ნაკლებად დასაბუთებული რისკი, მით უმეტეს, რომ ყველა ჩვენს გროსმაისტერს მეტი პარტიები ითამაშა და რამდენადმე დაქანცულად გრძნობდა თავს.

როგორც ყოველთვის, მტკიცედ და უკომპრომისოდ მოქმედებდა კორჩნოი. ფინალში მან მოაგროვა 6,5 ქულა 9-დან.

ამრიგად, პირველ სამ დაფაზე ყველაფერი რიგზე გვქონდა, მაგრამ მეოთხე დაფაზე მოთამაშე ლევ პოლუგაევსკიმ და ორმა სათადარიგო მოთამაშემ — ვასილ სმისლოვმა და ეფიმ გელერმა (რომლებისგანაც, თუ გავითვალისწინებთ მათი მოწინააღმდეგეების კლასს, განსაკუთრებით ბევრ ქულას მოგვლოდით) ვერ გამამართლეს იმედი. პოლუგაევსკიმ ფინალში მოაგროვა სულ 3 ქულა 6-დან, გელერმა 4,5 (7-დან) და სმისლოვმა 3,5 (6-დან). სწორედ ამ სამმა მონაწილემ, რომელთაგან ერთი—სმისლოვი მოქმედებდა არასაკმაოდ ენერგიულად, ხოლო ორი—მთელ რიგ შემთხვევებში მარცხიანად, ხელი შეუწყო იმას, რომ ჩვენმა გუნდმა უფრო ნაკლებად დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია, ვიდრე მოველოდით.

ახლა კი დავუბრუნდეთ ზემოთ დაყენებულ კითხვას. მაშ რა, მართლაც არიან ისინი, ვინც ფიქრობს, რომ საბჭოთა მოჭადრაკეების ჰეგემონია მთავრდება? ფფიქრობ, რომ მართლები არ არიან, და აი რატომ.

ამჟამად მთელ მსოფლიოში არ არის სპორტის ისეთი სახე, სადაც სახელმწიფოები, რომლებიც ლიდერები არიან, მწვავე წინააღმდეგობას არ განიცდიდნენ. ამერიკელები სულ-ცოტა ერთ წინათ თითქოს დოგმარცხებლები ჩანდნენ მძლეოსნობაში, ჩვენ კი ტანვარჯიშში ან, ვთქვათ, ქალთა ციგურაობაში, მაგრამ რამდენიმე წელი გავიდა, და მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ასეა სპორტში, რომ ლიდერს, როგორც გრძელ დისტანციებზე მორბენალს, უკან მოჰყვებიან კონკურენტები, რომლებიც შემდეგ, ფინიშზე, ცდილობენ გაუსწორონ მას და პირველებმა დაამთავრონ დისტანცია.

ჭადრაკი ამჟამად მთელ რიგ ქვეყნებში დიდ აღმავლობას განიცდის. შემთხვევითი როდია, რომ ყველა თეორიული სიახლე მსოფლიოში დიდი სისწრაფით ვრცელდება. საკმარისი იყო კორჩნოისა და ბრონშტეინის გაეთამაშათ საწვრთნელი მატჩი რომ ვარიანტი, რომელიც მათ გამოიყენეს, რამდენიმე თვის შემდეგ გამოჩნდა ოლიმპიადაზე საზღვარგარეთელი მოჭადრაკეების თითქმის ათ პარტიაში.

საინტერესოა, რომ, როგორც კორჩნოი ამბობს, დებიუტების თეორია საუკეთესო უცხოელმა გროსმაისტერებმა უკეთესად იციან, ვიდრე ჩვენებმა, ამას დავუმატოთ, რომ უცხოელი მოჭადრაკეები უფრო ხშირად იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო ტურნირებში, და ცხადი გახდება, ჩვენს გროსმაისტერს რატომ სულ უფრო და უფრო უჭირთ გამარჯვების მოპოვება.

მაგრამ დავაყენოთ ასეთი კითხვა: რომ არა ყოფილიყო რობერტ ფიშერი, რომელის გამოჩენა ამერიკის შეერთებული შტატების საჭადრაკო ცხოვრებაში უფრო შემთხვევითობის შედეგია, ვიდრე კანონზომიერებისა, შეიძლებოდა ლაპარაკი იმაზე, რომ საბჭოთა საჭადრაკო სკოლა თამობს თავის პოზიციებს? რა თქმა უნდა, არა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ფიშერის მონაწილეობამ ოლიმპიადაში, სადაც ფინალში მას ზედიზედ მოუხდა თამაში მხოლოდ ძლიერ მწინააღმდეგეებთან, ცხადყო, რომ ნიჭიერი ამერიკელის თამაშში იგრძნობა შესამჩნევი ხარვეზები. მაგალითად, ფიშერი ნაკლებ გულდაჯერებულად გრძნობს თავს, როცა პარტია სცილდება გაკვალულ გზას, განსაკუთრებით თუ ამასთან იქმნება დასლართული სიტუაციები. ფიშერის სწორედ ეს სუსტი მხარე ოსტატურად გამოიყენეს სპასკიმ.

გარდა ამისა, ამერიკელს, მოკრიფეთა ენით რომ ვთქვათ, უჭირს გაუძღოს დაჭყმას. როცა წააგო სპასკისთან (რომლისთვისაც საშინლად უნდოდა მოეგო!), ფიშერი იმდენად განიცდიდა ამას, რომ კინაღამ დამარცხდა პორტიშინან შეხვედრაშიც. არ მინდა, რომ მკითხველს შეექმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ავტორი გაგვის ეძებს ფიშერის ხარვეზებს. ვიმეორებ, ფიშერი არაჩვეულებრივად ნიჭიერია, მაგრამ, როგორც მარკ ტაიმანოვმა თქვა, ამერიკელი მაინც „უბრალო მომაკვდავებს“ ეკუთვნის და მისთვის უცხო არ არის არაფერი ადამიანური, მათ შორის შეცდომებიც.

მკითხველს ალბათ აინტერესებს, გაამოვა თუ არა ფიშერს საზონათაშორისო ტურნირში? როგორც ცნობილია, ფიდეს კონგრესსა არ დაუშვა ფიშერი საზონათაშორისო ტურნირში, როგორც დამატებითი მონაწილე. მაშასადამე, ფიშერის მონაწილეობა ახლა დამოკიდებული იქნება იმაზე, მოინდომებს თუ არა ჭადრაკის ამერიკული ფედერაცია მისცეს მას ადგილი ზონაურ ტურნირში ერთ-ერთი გამარჯვებულის ხარჯზე.

თუმცა, როგორც ამ დღეებში პეტროსიანმა შენიშნა, ჯერ კიდევ ცნობილი არ არის, მოინდომებს თუ არა ჭირვეული ფიშერი ამ ადგილის „აღებას“. მართალია, კორჩნოის მიაჩნია, რომ ფიშერი აპირებს ტურნირში მონაწილეობას. ასე თუ ისე, ნოემბრის დამდეგს შევიტყობთ პასუხს ამ კითხვაზე...

ამრიგად, უნდა გვახარებდეს თუ საწყენად უნდა გვქონდეს შედეგები XIX ოლიმპიადისა ზიგენში? რასაკვირველია, უნდა გვახარებდეს. მაგრამ ამასთან ღირს გავიხსენოთ, რომ სულ ცოტა ხნის წინათ „საუკუნის მატჩში“ სსრ კავშირის ნაკრებმა მოუგო დანარჩენი მსოფლიოს ნაკრებს აგრეთვე მხოლოდ ერთი ქულის უპირატესობით. და თუ ის შედეგი გამოფრთხილებული ზარი იყო, ეს მეორე ზარად უნდა ჩაითვალოს. ორივე ზარი შემაფიქრებელი კი არა, ჯერჯერობით მხოლოდ გამაფრთხილებელია. და თუ დასკვნებს გავაკეთებთ, თუ საჭადრაკო საზოგადოებრიობა სერიოზულად ჩაუფიქრდება ასეთი „ზამორჩენის“ მიზეზებს (ეს კი გასაკუთრებული მსჯელობის საგანია), შეიძლება არ დავიმეოდეთ, რომ მესამე ზარი აღარ იქნება.

**ვიქ. ვასილიევი.**
მოსკოვი.

* * *

**სურათზე:** ჰამილტონ-რასელის თასი, რომელიც საბჭოთა მოჭადრაკეებმა მეათეჯერ მოიპოვეს.
ფოტო ვ. კუტირევისა.

# ტანმოვარჯიშეთა ფორუმი ლიუბლიანაში

**იუგოსლავიის** ქალაქი ლიუბლიანა დიდი ასპარეზობის მოლოდინშია. აქ ექვსი დღის განმავლობაში (22-დან 27 ოქტომბრამდე) პაექრობა ექნებათ მსოფლიო პირველობის მონაწილე ტანმოვარჯიშე ქალებსა და ვაჟებს.

უკანასკნელი ჩემპიონატიდან დღემდე ცოტა ცვლილება როდი მოხდა. ქალთა შორის იმ ტანმოვარჯიშეებიდან, რომლებიც წინა პირველობაზე გამოდიოდნენ, მწყობრში დგას მხოლოდ სამი სპორტსმენი — ლარისა პეტრიკი, ზინაიდა ვორონინა და ოლგა კარასევა. საბჭოთა გუნდი ძირითადად ახალგაზრდულია, მაგრამ მისგან წარმატებას უნდა მოველოდეთ. არის ცვლილებები ჩეხოსლოვაკიის გუნდშიც. მაგალითად, უკვე დაამთავრა გამოსვლები მსოფლიოს ახსოლუტურმა ჩემპიონმა, ტოკიოსა და მეხიკოს ოლიმპიურ ასპარეზობაში გამარჯვებულმა ვერა ჩასლავსკამ. ახლა გუნდში ყველაზე გამოცდილი ტანმოვარჯიშეა მ. კრაიჩიროვა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდიდან „ჩასლავსკას მემკვიდრედ“ ითვლება კარინ იანცი.

ჩვენს ვაჟთა გუნდსაც წინა ჩემპიონატიდან მ. ვორონინის, ს. დიომიდოვისა და ვ. კარასევის სახით სამი ტანმოვარჯიშე შემორჩა. საბჭოთა ტანმოვარჯიშეების მთავარი მეტოქეები არიან იაპონელები.

**საქართველოს** ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლი იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მომღერალი და ლოტბარი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

**ივანე გიორგის-ძე მჟელლიშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს. გამოსვენება 17 ოქტომბერს დღის 4 საათზე ა. კ. რკინიგზის სახლიდან. პლეხანოვის პროსპექტი № 127ა.

# ოლიმპიადა

## თბილისელი ფრენბურთელები პლოვდივში

**სოფიაში** გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფრენბურთში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პლოვდივის სამედიცინო ინსტიტუტის ქალთა გუნდებს შორის. წარმატება ბულგარელ ფრენბურთელებს ხვდათ ანგარიშით 3:2. ეს ამ გუნდების მეოთხე შეხვედრა იყო. ადრინდელ სამ მატჩში გაიმარჯვეს თბილისელებმა.

# ჩემპიონობა დაუმარცხებლად

ბაკოში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება ხელბურთში ქალთა გუნდებისათვის. თავიდანვე ჩინებულად წარმართა ბრძოლა კიევის „სპარტაკმა“, რომელმაც ჩემპიონობა ჯერ კიდევ სამი ტურით ადრე გაინაღდა. აღსანიშნავია, რომ სპარტაკელებს არც ერთი მატჩი არ წაუგიათ. მეორე იყო ბაქოს „სპარტაკი“, მესამე — მოსკოვის „ლუჩი“.

# ფინიში

**33 მატჩი** გვაშორებს დიდი ფეხბურთის ფინიშს. დარჩენილ შეხვედრათა რაოდენობა არც თუ დიდია, მაგრამ თვალს თუ გადავავლეთ სატურნირო ცხრილს, ჩემპიონობისა და აუტსაიდერთა საკითხი ჯერ კიდევ ბურუსით არის მოცული.

ოქროს მაძიებელთა სამეულში ვხედავთ მოსკოვის გუნდებს — „დინამოს“, „სპარტაკსა“ და ცსკა-ს. დინამოელებს 4 თამაში დარჩათ — „არარატთან“, „ნეფტჩისთან“, სკა-სთან და ორჯონიკიძის „სპარტაკთან“. მოსკოვის სპარტაკელები უნდა შეხვდნენ „შახტიორს“, „ჩერნომორეცს“ და „სკა-ს“, ხოლო ცსკა — მინსკის „დინამოს“, „ჩერნომორეცს“, თბილისის „დინამოს“, „ზარიასა“ და „ნეფტჩის“.

„ჩერნომორეცის“ დამარცხებამ დონის როსტოვში ქალთასის ტორპედოელებს უმაღლეს ჯგუფში დარჩენის გარანტიული შანსები მისცა. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ თამაშობენ ჩვენი თანამემამფლეები დარჩენილ სამ მატჩზე — მოსკოველ თანაკლუბელებთან, „შახტიორთან“ და „ნეფტჩისთან“.

აი როგორია დღეისათვის მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობა:

## მოახლოებული

## გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 17 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მ.) | 28 | 15 | 7 | 6 | 42-20 | 37 |
| „სპარტაკი“ (მ.) | 29 | 12 | 13 | 4 | 43-23 | 37 |
| ცსკა | 27 | 16 | 4 | 7 | 40-17 | 36 |
| „ზარია“ (ვ.) | 29 | 10 | 12 | 7 | 26-23 | 32 |
| სკა (როსტ.) | 28 | 8 | 14 | 6 | 26-25 | 30 |
| „დინამო“ (თბ.) | 27 | 11 | 7 | 9 | 35-26 | 29 |
| „დინამო“ (მნ.) | 28 | 10 | 9 | 9 | 31-25 | 29 |
| „დინამო“ (კ.) | 29 | 12 | 5 | 12 | 32-29 | 29 |
| „ტორპედო“ (მ.) | 28 | 10 | 9 | 9 | 29-31 | 29 |
| „ნეფტჩი“ (ბ.) | 27 | 8 | 10 | 9 | 22-19 | 26 |
| „არარატი“ (ერ.) | 27 | 9 | 8 | 10 | 25-28 | 26 |
| „ზენიტი“ (ლ.) | 28 | 9 | 7 | 12 | 27-36 | 25 |
| „შახტიორი“ (დ.) | 28 | 9 | 7 | 12 | 30-47 | 25 |
| „პახტაკორი“ (ტ.) | 29 | 6 | 12 | 11 | 21-42 | 24 |
| „ჩერნომორ.“ (ო.) | 28 | 7 | 9 | 13 | 28-35 | 23 |
| „ტორპედო“ (ქ.) | 29 | 6 | 10 | 13 | 22-34 | 22 |
| „სპარტაკი“ (ორჯ.) | 28 | 6 | 7 | 15 | 27-41 | 19 |


# კომუნისტი

## თბილისელი ფრენბურთელები პლოვდივში

**სოფიაში** გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფრენბურთში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პლოვდივის სამედიცინო ინსტიტუტის ქალთა გუნდებს შორის. წარმატება ბულგარელ ფრენბურთელებს ხვდათ ანგარიშით 3:2. ეს ამ გუნდების მეოთხე შეხვედრა იყო. ადრინდელ სამ მატჩში გაიმარჯვეს თბილისელებმა.

## ჩემპიონობა დაუმარცხებლად

ბაკოში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება ხელბურთში ქალთა გუნდებისათვის. თავიდანვე ჩინებულად წარმართა ბრძოლა კიევის „სპარტაკმა“, რომელმაც ჩემპიონობა ჯერ კიდევ სამი ტურით ადრე გაინაღდა. აღსანიშნავია, რომ სპარტაკელებს არც ერთი მატჩი არ წაუგიათ. მეორე იყო ბაქოს „სპარტაკი“, მესამე — მოსკოვის „ლუჩი“.

## ტელევიზია

**17 ოქტომბერი**

11.00 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად —ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 12.30 — „საბჭოთა საქართველო-50“, „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოო!“, ლაგოდეხის რაიონი (განმეორებით), 13.30 — კინოპროგრამა, 14.30 — ბულგარული მხატვრული ფილმი „ქმრები მივლინებაში“, 16.05 — სცენები იტალიელი კომპოზიტორების ოპერებიდან, 17.05 — განცხადებები, 17.10 — ბავშვებისათვის — „ჩხირკედელას სახელოსნო“, 17.25 — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის იულისის პლენუმის გადაწყვეტილებები მოქმედებაში“ — „აუდიტორია ცის ქვეშ“, 17.50 — გადაცემა ციკლიდან — „დოკუმენტური კინო ბრალს სდებს“, 18.30 — „ზამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.00 — „საბჭოთა საქართველო-50“, „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოო!“ ოჩამჩირის რაიონი, 19.40 — კინონარკვევი, 19.50 — ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქციის საკავშირო ფესტივალი — „შენი თანატოლი“, 22.20 — ახალი ამბები, 22.30 — მსოფლიო დღეს, 23.00 — ესტრადის მსახიობთა მეოთხე საკავშირო კონკურსის დასკვნითი კონცერტის ტრანსლაცია მოსკოვიდან.

**18 ოქტომბერი**

10.15 — ახალი ამბები (გადმოც